„ნაცმოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით აქციები იწყება

N152/3082/ 15 ოქტომბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

# „ალიას“ ექსკლუზივი

- რატომ შეარჩიეს გამტაცებლებმა როინ გიორხელიძის შვილი?
- როგორ გავიდა გამოძიება გამტაცებლების კვალზე?
- სად მალავდნენ გატაცებულს?
- სად ჩატარდა გამტაცებლების აყვანის სპეცოპერაცია?



## რას უყვება მამა ბასილი „ალიას“ იელოველების მიერ სტრასბურგში მოგებულ პროცესზე?



„ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაფრთხილებ: ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ევროკავშირი მერაბიშვილსა და ახალაიას პოლიტპატიმრებად გამოაცხადებენ, მოსალოდნელი უბედურებები რომ თავიდან ავიცილოთ, სასწრაფოდ აღგავეთ მიწისაგან პირისა „ნაციონალური“ პარტიის ყველა წევრი, როდის იყო მგელი მგლობას იშლიდა“

## რისთვის იმყოფებოდა 5 დეპუტატი აშშ-ში და რა საქმე გადაგზავნეს პროკურატურაში?



## ღარიბაშვილს კანცელარიაში ექსპერტების მიერ შეტანილ კონცეფციას უმალავენ?



## რა მოხდა მინისტრ თამარ სანიკიძის პარლამენტში გამოსვლის შემდეგ განათლების სამინისტროში?



## „იარაღის კანონში“ არსებულ „ალიას“ რა შენიშვნებს ეთანხმებიან პარლამენტში

ზურაბ აბაშიძე: „გპირდებით, რომ ამ ყველა შენიშვნას, ჩემი აზრით, ძალიან მართებულს, კომიტეტის სხდომაზე დავაყენებ“



# „ნაცმოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით აქციები იწყება

**„თავისუფალი თაობა“ „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით გამოსვლებს იწყებს და „ნაცმოძრაობის“ ოფისთან აქციას მართავს. ორგანიზაციაში ამბობენ, რომ 15 ოქტომბრის აქცია იქნება „ნაციონალურო მოძრაობის“ დასასრულის დასაწყისი და ამ მიზანს მიაღწევენ ისევე, როგორც ეს „თავისუფალი ზონის“ შემთხვევაში მოახერხეს.**



**„ალიას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი, ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილმა კუდ-ელებმა და სოდ-ელებმა ფულის გამოძალვის მიზნით ახალგაზრდა ბიჭი გაიტაცეს. სწორედ ამ სტრუქტურის თანამშრომლებმა გაიტაცეს სანდრო გირგვლიანი. „ნაციონალების“ გეგმაშია, რომ ამა თუ იმ ხერხებით მოიქნიონ კუდი, დანერგონ გარკვეული ქაოსი საზოგადოებაში. ამისთვის იყენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ახალაიების კლანს, ახლა კი არ არიან სტრუქტურებში, მათ „ნაციონალების“ მხრიდან მიეცათ დავალება და მოხდა ის, რაც 2 დღის წინ მოხდა. ამ ყველაფრის მიზანი ერთი იყო, გამოსულიყვნენ „ნაციონალი“ ბოსები და ეთქვათ, აი, ხომ ხედავთ, კრიმინალმა იმატა, ხალხს იტაცებენო... რეალურად კი ვინ სჩადის დანაშაულს? ისევ და ისევ „ნაციონალური მოძრაობა“. მათი დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციის მიზნით, ვიკრიბებით „ნაციონალების“ ოფისთან და დავაყენებთ ულტიმატუმს – ერთხელ და სამუდამოდ დავუსვათ ამ ორგანიზაციას წერტილი. ეს არის კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც გამოსწორება არ უწერია. ჩვენი აქცია იქნება მათი დასასრულის დასაწყისის დღე!

**— ლადო, ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და სრულ კომენტარს ჯერ შსს-ც არ აკეთებს. რამე მტკიცებულება გაქვთ, ასე ხელაღებით რატომ საუბრობთ, რომ „ნაციონალების“ ხელი ურევია? რადგან პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა მსგავსი ვერსია, არ ფიქრობთ, რომ ეს გაამყარებს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებას, „თავისუფალი თაობა“ ხელისუფლების მიერ იმართება?**

– ვინ იტყვის ამას, „ნაციონალური მოძრაობა?“ ამ თემაზე თუ ვინმე ხმას ამოიღებს, ეს აუცილებლად იქნება „ნაციონალური მოძრაობა“. ეს არის კრიმინალური ორგანიზაცია და სულ არ მაინტერესებს, რას იტყვის მისი წარმომადგენელი. ორი აზრი არ არსებობს იმაში, რომ ეს არის დაკვეთა, რომელიც მოდის „ნაციონალებისგან“. ახალგაზრდული ფლანგით ვერ შეძლეს სიტუაციის არევა და სხვა კუთხით მიუდგნენ საკითხს. ეს ადამიანები არიან ყოფილი კუდ-ელები და სოდ-ელები, რომლებიც მაშინ არიან სამსახურებიდან განთავისუფლებულები, როცა ხელისუფლება შეიცვალა. რთული მისახვედრი ნამდვილად არ არის, ვის დაქვემდებარებაში არიან და ვის ბრძანებებს ასრულებენ. რა მტკიცებულება სჭირდება ამას?!

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდგომ, უკვე თავისუფალი გერმანიის პირველმა კანცლერმა საკანონმდებლო დონეზე აიყვანა ფაშისტებისა და კომუნისტების ქვეყანაში აკრძალვა. ჩვენც საკანონმდებლო დონეზე, მოვითხოვთ ამ კრიმინალების ქვეყნიდან მოშორებას. ამაში უკვე ხელისუფლებამ უნდა შეგვიწყოს ხელი, ჩვენ, მოსახლეობას. „თავისუფალი ზონა“ დამარცხდა და ეს პარტიაც ისე დაასრულებს, როგორც „თავისუფალმა ზონამ“ დაამთავრა! „თავისუფალი ზონა“ დღეს, რეალურად დაშლილია და აქტივისტები გადანაწილებული არიან სხვადასხვა დამხმარე ორგანიზაციებში, მაგალითისთვის ვიტყვი – „პიკასოს კლუბში“ და „სამართლიან თაობაში“. ამ ორგანიზაციაზე უკვე 10 დღეა, არაფერი არ ისმის, ეს ყველაფერი კი ჩვენი აქტივობის შედეგია.

**— რამდენად მასშტაბური იქნება აქცია?**

– აქციაზე ვიქნებით ჩვენ, ასევე მოვუწოდებთ სხვა ორგანიზაციებსაც, რომლებსაც გული ერჩით მიმდინარე პროცესებზე და შემოგვიერთდება ის მოსახლეობა, ვისაც ეს საკითხი აწუხებს. ეს იქნება დასაწყისი, როგორც გითხარით, ამ აქციის მერე კი ახალგაზრდები ბევრად უფრო მობილიზებული ვიქნებით და აქციები უფრო მასშტაბური გახდება. კრიმინალებთან ალიანსში მყოფი სადისტების, ადამიანის გამტაცებლების, მოძალადეებისგან შემდგარი დამნაშავე ძალა აუცილებლად უნდა წავიდეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ბავშვების გამტაცებლების ადგილი ციხეშია და არა საქართველოს პარლამენტში. მოცდა აღარ შეიძლება, ან ეხლა ან არასოდეს! „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პასუხი უნდა აგოს ყველა იმ დანაშაულზე, რაც ქვეყნის წინაშე ჩაიდინა. ჩვენ, ახალგაზრდები, ვებმებით ამ ბრძოლაში და უკანდახევა არ იქნება.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თურქეთში საქართველოს 5 მოქალაქე ბინების ძარცვისთვის დააკავეს



თურქეთის ქალაქ ტეკირდაკში საქართველოს ხუთი მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ყველა მათგანი ბინების ძარცვაშია ეჭვმიტანილი. დაკავებულები 30-დან 44 წლამდე მამაკაცები არიან. დაკავებულთა ავტომანქანის ჩხრეკისას, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ნომრებით მოძრაობდა, ამოღებულია პისტოლეტის 100-მდე ვაზნა და საკეტების გასატეხი მოწყობილობები.

როგორც ადგილობრივ მედიაში აღნიშნავენ, საქართველოს მოქალაქეები ეჭვმიტანილნი არიან 6 ბინის ძარცვაში. მიმდინარეობს გამოძიება. (ნიუპოსტი)

## მოქალაქე პოლიციას გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს



ლაშა კილასონია პოლიციას ცემასა და გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს. კილასონიას განმარტებით, მისი დაკავება 8 სექტემბერს სამეგრელოს რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოხდა და წალენჯიხის პოლიციის შენობაში სამართალდამცავები აიძულებდნენ, ეღიარებინა, რომ ნარკოტიკული საშუალება „მორფინი“ შეიძინა და მოიხმარა. მისივე თქმით, მან პოლიციას უარი უთხრა, რის შემდეგაც ფიზიკურად და სიტყვიერად დაუპირისპირდნენ, შარვალი ჩახადეს და გაუპატიურებას ცდილობდნენ. კილასონიას განცხადებით, ამის შემდეგ ის იძულებული გახდა, დანაშაული ეღიარებინა, მაგრამ მეორე დღეს ჩვენება შეცვალა. ლაშა კილასონია სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მან გამოძიებისთვის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას უკვე მიმართა. კილასონია აცხადებს, რომ მას შეუძლია, ამოიცნოს დამნაშავე პოლიციელები. მისი ადვოკატის, ლაშა ხოშტარიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სამედიცინო გამოკვლევებმა ნარკოტიკის მოხმარება არ დაუდასტურა. კილასონია კომპანია „ენერგო პრო-ჯორჯიას“ წალენჯიხის ბილინგ მენეჯერია. (პირველი რადიო)

## ხონის რაიონიდან აფხაზეთში სამუშაოდ გადასული ორი ახალგაზრდა დააკავეს



შსს-ს ინფორმაციით, ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოს მკვიდრნი ზაურ შვანგირაძე და ლევან ბულაშვილი რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული გალის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

შსს-მ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია ევროკავშირის მონიტორინგის მისიას მიაწოდა, რომელმაც, თავის მხრივ, ცხელი ხაზის მექანიზმის მეშვეობით, შვანგირაძისა და ბულაშვილის დაკავების ფაქტი დაადასტურა. შსს-ს ცნობით, ამ ეტაპზე დაკავებულები ოკუპირებულ სოხუმის დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები.

როგორც დაკავებულების ახლობლები აცხადებენ, ლევან ბულაშვილი და ზაურ შვანგირაძე აფხაზეთში თხილის საკრეფად იმყოფებოდნენ. რამდენიმე დღის წინ ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა, რომ ორივე ახალგაზრდა დაკავებულია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ფაქტი...

## ვინ იქნება ივანიშვილთან ერთად ტოქშოუს თანაწამყვანი?




ტოქშოუ „მოქალაქე“, რომელსაც ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თანაწამყვანთან ერთად გაუძღვება, განსხვავებული ფორმატის იქნება. როგორც **GDS**-ის გენერალურმა პროდიუსერმა თემურ გოგოლაძემ განაცხადა, ფორმატთან დაკავშირებით ჯერ მუშაობა მიმდინარეობს და ამ დროისთვის იმის თქმა შეიძლება, რომ ეს არ იქნება საქართველოში არსებული ფორმატების ანალოგი.

„ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს იყოს განსხვავებული და ძალიან კარგი ფორმატი. იმ ფორმატით, რომელიც საქართველოში არსებობს, ჩვენ არ ვიქნებით. ასე რომ, წინასწარ რაღაცები რომ ვთქვათ, შეიძლება რამეში შევცდეთ და საზოგადოებაც შეცდომაში შევიყვანოთ“, – განაცხადა გოგოლაძემ.

რაც შეეხება თანაწამყვანების საკითხს, გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მოლაპარაკებები ეკა ბერიძესთან და ასევე „**TV3**“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსთან იმედა დარსალიასთან მიმდინარეობს, თემურ გოგოლაძე ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს.

„მე ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს. ინფორმაცია არ მაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის, უბრალოდ მე არ ვიცი ამასთან დაკავშირებით არაფერი. **GDS** ამ ეტაპზე დაკავებულია მხოლოდ გადაცემის ფორმატის, პავილიონის შეფუთვის და ესეთი ტექნიკური საკითხებით. თემატური ნაწილი ჩვენ არ გვეხება, ამაზე სხვა ჯგუფი მუშაობს“, – განაცხადა გოგოლაძემ. (პირველი რადიო)

## „ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამოძიება 315-ე მუხლით დაიწყო



ალექსანდრე ჭიკაიძის მოადგილის ლევან იზორიის განცხადებით „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით მიმდინარეობს და საზოგადოება გამოძიების დასრულების შემდეგ კონკრეტულ პასუხებს მიიღებს. საქმე ეხება 10 სექტემბერს გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს.

„ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში, შს მინისტრმა ჭიკაიძემ განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან დაკავშირებული ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით არეულობისა და დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავენ.

იზორიამ განამარტა, თუ რას გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი, კერძოდ:

1. შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, ან ხელში ჩასაგდებად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე.

2. ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, ან ხელში ჩასაგდებად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 15 წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 15-დან 20 წლამდე. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „იარაღის კანონში“ არსებულ „ალიას“ რა შენიშვნებს ეთანხმებიან პარლამენტში

## ზურაბ აბაშიძე: „გპირდებით, რომ ამ ყველა შენიშვნას, ჩემი აზრით, ძალიან მართებულს, კომიტეტის სხდომაზე დავაყენებ“

საქართველოს პარლამენტი „იარაღის შესახებ კანონში“ მეტად აბსურდული ცვლილებების შეტანას აპირებს. ამის შესახებ „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ რამდენჯერმე დეტალურად წერდა. ახალი კანონპროექტი შს და იუსტიციის სამინისტროებმა მოამზადეს და ამჟამად, განსახილველად, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტშია. იმედს ვიტოვებთ, რომ იმ შეცდომებს, რაც ამ კანონპროექტში უხვად არის, ჩვენი პარლამენტარები გაფილტრავენ, ყველა ხარვეზს გამოასწორებენ და მათ ცვლილებების სახით შეიტანენ. თუმცა, სავარაუდოდ, მთავარს აღარაფერი ეშველება. კანონპროექტის მთავარი მოთხოვნაა, რომ 23 წლამდე მოქალაქეებს აეკრძალოთ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა და შენახვა. ხელისუფლებამ, რატომღაც, ასაკობრივ-დისკრიმინაციული ნიშნით დაყო საქართველოს მოქალაქეები და ვინც ჯერ 23 წლის არ არის, მას ყველა სამოქალაქო უფლება ექნება, მაგრამ იარაღს ვერ შეიძენს და აუცილებლობის შემთხვევაში თავსა და ოჯახს ვერ დაიცავს. ხელისუფლება ათეულ ათასობით ადამიანს თავდაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას – ცაცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის უფლებას ართმევს, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა და ეს უკვე ნამდვილად აღარ არის იმ „შავი პიარის“ შედეგი, რასაც „ნაციონალთა“ კონტროლირებადი მედია ეწევა ამ კუთხით. ეს უკვე სამწუხარო რეალობა. იმ მოქალაქეებს კი, ვისაც, სავარაუდოდ, მალე ჩამოართმევენ იარაღის შეძენა-შენახვის უფლებას, ხელისუფლება თავდაცვის ალტერნატიულ საშუალებას არ სთავაზობს და ვერც შესთავაზებს – ეს ალტერნატივა რომ არ არსებობდა, თავის დროზე, სწორედ იმიტომ დაუშვეს იარაღის შეძენა-შენახვა და შესაბამისი კანონიც მიიღეს. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ვითარების გამოსწორებას ჩვენი ხელისუფლება იარაღის მფლობელი მოქალაქეებისთვის ასაკობრივი ზღვარის გაზრდით ლამობს, რაც ძალიან არაეფექტური ნაბიჯია. ამაში ძალიან მალე დარწმუნდებით. არც ერთ ქვეყანაში, იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ნებართვის გამკაცრებას კრიმინალი არ შეუმცირებია და გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება.

ძალიან საეჭვოა, ძალოვანი უწყებების ამ მოთხოვნას ჩვენი პარლამენტი წინ აღუდგეს, თუმცა, მაინც ვიტოვებთ მცირე იმედს, რომ ჩვენი დეპუტატები ამ სრულიად



გაუაზრებელ და სახელდახელოდ მომზადებულ კანონპროექტს ან არ მიიღებენ, ანდა, ისეთ ცვლილებებს მაინც შეიტანენ, რომ მოქალაქეები მინიმალურად დაზარალდნენ. გარდა იმისა, რომ პრობლემა ასაკობრივი ზღვარის დაწესებაა, პრობლემაა ასევე ის, რომ იარაღი სახლში დაშლილ მდგომარეობაში უნდა შეინახო, და ასევე ის, რომ გაურკვეველია იმ პირთა ბედი, ვინც ჯერ 23 წლის არ არიან და იარაღი მოქმედი კანონის შესაბამისად აქვთ შეძენილი.

**ამ საკითხებზე „ალიას“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი, ზურაბ აბაშიძე ესაუბრა:**

**— ბატონო ზურაბ, გაეცანით „იარაღის შესახებ კანონში“ შესატან ცვლილებებს? თქვენ იურიდიული კომიტეტის წევრი ხართ და მაგ კომიტეტის დადებითი დასკვნის გარეშე, ეს კანონპროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად ვერ მოხვდება.**

– კანონპროექტი უკვე შემოსულია პარლამენტში, ჯერ იურიდიულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს, შემდეგ თავდაცვისა და უშიშროების, საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა და მათი სავალდებულო დასკვნა უნდა დადოს ამ კანონპროექტის შესახებ. თუ ყველა კომიტეტის დასკვნა დადებითი იქნება, მერე განიხილავს მას პარლამენტი. მსჯელობა და განხილვა იურიდიული კომიტეტიდან დაიწყება. ასე ვთქვათ, მთავარი კომიტეტი ამ შემთხვევაში, მაინც იურიდიული კომიტეტია.

**— ეგ გასაგებია, ბატონო ზურაბ, მაგრამ კანონპროექტში მრავალი, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელი ვალდებული ხდება, იარაღი დაშლილ მდგომარეობაში შეინახოს. ცეცხლსასროლ იარაღს უმეტესად თავდაცვისთვის ყიდულობენ და დაშლილი იარაღით, როგორ უნდა დავიცვა თავი? სახლში რომ ყაჩაღი და მოძალადე შემომივარდეს, მე იმ დროს იარაღის აწყობა უნდა დავიწყო? და რომელი ყაჩაღი დამაცდის, იარაღს როდის ავაწყობ?**

– აბსოლუტურად ლოგიკური შეკითხვაა, გეთანხმებით. თუ ადამიანი იარაღს ყიდულობს თავდაცვისთვის, ცხადია, ეს იარაღი თავდაცვით მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს შენახული და არა დაშლილი. თუმცა, ჯერ კანონპროექტი განხილვის სტადიაშია და მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. თქვენს ამ მართლა სამართლიან შენიშვნას, მე პირადად, კომიტეტის სხდომაზე დავაყენებ. არც ერთი კანონპროექტი არ არის უხარვეზო და მერე, კომიტეტებში იხვეწება ყველა. ესეც ასე იქნება. იქ მარტო ეგ ხარვეზი არ არის. რამდენადაც ვიცი, ახალი კანონპროექტით იარაღის გამოყენების წესებშიც შედის ცვლილება, მეტი უფლებები ეძლევა პოლიციას იარაღის გამოყენების მხრივ და მაგალითად, ამას, მე არ ვეთანხმები და ვეცდები, არც ეს ცვლილებები შევიდეს, ანდა დაიხვეწოს. ჯერ ზუსტად არ ვიცი, რამდენად უფართოვდება პოლიციას უფლებები იარაღის გამოყენების მხრივ. დეტალურად შევისწავლი ყველაფერს, კანონპროექტსაც და მერე ვისაუბროთ.

**— ბატონო ზურაბ, ისეთი საკითხებია, რომ ზოგიერთი დეტალურად შესწავლას არ საჭიროებს. მაგალითად, თავად კანონის არსი, რომ 23 წლამდეც მოქალაქეებს აღარ ექნებათ იარაღის შეძენა-შენახვის უფლება, ამასთანავე, 21 წლამდე მოქალაქეებს სანადირო თოფის ფლობა და შესაბამისად, ნადირობა ეკრძალებათ. ამ 18-21 და 23 წლის მოქალაქეების დიდ ნაწილს სავალდებულო სამხედრო სამსახური აქვს გავლილი. ზოგი კონტრაქტით მსახურობს ჯარში და ერთი კი არა, რამდენიმე სახის იარაღს მართლა ვირტუოზულად ფლობს. ღმერთმა დაიფაროს, რამე სამხედრო კონფლიქტი რომ მოხდეს, ამ ბიჭებმა უნდა იომონ და უაზრობა არ არის, ასეთ ადამიანს რომ ეტყვი, ჯერ პატარა ხარ და იარაღს ვერ მოგყიდიო? მით უფრო, სანადირო თოფის შეძენაც ეკრძალებათ 21 წლამდე ასეთ მოქალაქეებს.**

– კი, ესეც შეუსაბამობა ჩანს და რაღაც გამოსავალი მოიძებნება. ერთია, რას გულისხმობს მთავრობა, რა წერია იმ კანონპროექტში, მეორეა, რეალობას მოერგოს ის კანონი. ყველაფერს ვნახავთ და თუ რამე გასასწორებელია, ცხადია, გავასწორებთ. მზად ვარ, რომ ამ კანონზე ყურადღებით ვიმუშაო და ნებისმიერი შეუსაბამობა, რაც შემხვდება, კომიტეტის სხდომაზე დავაყენო, რომ ამოიღონ კანონპროექტიდან. ყველაფერს გავარკვეთ აუცილებლად.

**— კიდევ ერთ შეუსაბამობაზე გეტყვით. კანონპროექტში არც ის წერია, რა ბედი ელით იმ 23 წლამდე მოქალაქეებს, რომელთაც უკვე შეძენილი აქვთ იარაღი. შეუძლიათ გაყიდონ, გააჩუქონ, თუ უნდა ჩააბარონ და სანაცვლოდ კომპენსაციას მისცემენ.**

– ესეც გასარკვევია, თუ ჩაბარება მოუწევთ, ცხადია, კომპენსაციის საკითხიც უნდა იყოს განსაზღვრული. თუ ეს კანონპროექტში არ წერია, ესეც ხარვეზია. განვიხილავთ, რაც ჩასაწერია, ჩავწერთ და რაც ამოსაღებია – ამოვიღებთ. მეტს ვერაფერს გეტყვით. რა ვქნა, ჯერ იურიდიულ კომიტეტს არ განუხილავს ეს კანონპროექტი, ჯერ დაიწყოს განხილვა და დანარჩენზე, მერე ვილაპარაკოთ.

**— გვპირდებით, რომ ამ შენიშვნებს გაითვალისწინებთ, როცა კანონპროექტის განხილვას შეუდგებით?**

– კი, კი, გპირდებით, რომ ამ ყველა შენიშვნას, ჩემი აზრით, ძალიან მართებულს, კომიტეტის სხდომაზე დავაყენებ. ხომ გითხარით, მე სხვა შენიშვნებიც მაქვს ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. კიდევ გამოჩნდება, ალბათ, რაღაც ნაკლოვანებები და ყველას ერთად დავაყენებ იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, როცა ამ კანონპროექტის განხილვის დრო დადგება. მაქსიმალურად ვეცდები მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. მერე, როცა განხილვა დაიწყება და კანონპროექტში ღრმად ჩავიხედავ, დამიკავშირდით და დეტალურად ვისაუბროთ.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ღარიბაშვილი მოსახლეობას სვეტიცხოვლობას ულოცავს



პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მოსახლეობას სვეტიცხოვლობა მიულოცა:

„გილოცავთ სვეტიცხოვლობას, გილოცავთ მცხეთობას. საოცარი განწყობაა მოსახლეობაში. სვეტიცხოველი თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ჩვენი სარწმუნოების, ჩვენი რწმენის სიძლიერის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის უწყვეტობის ერთგვარი სიმბოლოა. ჩვენ მართლაც ბედნიერი ერი ვართ, რომ სწორედ ასეთი ძეგლები შემოგვინახა ჩვენმა დიდმა წინაპარმა თაობამ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ დღეს და გისურვებთ მშვიდობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)



## სანიკიძე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს შეხვდება

სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თამარ სანიკიძე შეხვდება. მინისტრის განმარტებით, სტუდენტები შეცდომაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეჰყავს.

„აუცილებლად შევხვდები, იმისთვის, რომ მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია და კომუნიკაციები გაიმართოს. სხვა შემთხვევაში, პირდაპირ ვამბობ, ისინი გახდებიან იმ არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი, რომელიც მათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მიაწოდეს“, – განაცხადა სანიკიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სომხეთში დისლოცირებულმა რუსმა სამხედროებმა მასშტაბური სწავლება დაიწყეს



სომხეთში მასშტაბური ტაქტიკური სწავლება დაიწყო. სწავლებაში სომხეთში დისლოცირებული რუსული ბაზის ყველა ნაწილი მონაწილეობს. რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის – სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, სულ სამხედრო მანევრებში 3 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე და სპეცტექნიკის 500 ერთეულია ჩართული.

ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, სწავლებაში მონაწილეობენ ასევე ერევნის სამხედრო აეროდრომის – ერებუნის ტერიტორიაზე დისლოცირებული მეოთხე თაობის თანამედროვე გამანადგურებლები „МИГ-29". (ფრონტნიუსი)

# რისთვის იმყოფებოდა 5 დეპუტატი აშშ-ში და რა საქმე გადაგზავნეს პროკურატურაში?

**საქართველოს პარლამენტის 5-კაციანი დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი უმრავლესობიდან, ომარ ნიშნიანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამერიკელი კონგრესმენები სულაც არ არიან იმ ჭკუაზე, როგორც ამას „ნაციონალები“ ხატავენ:**



– სიმართლე გითხრათ, ამერიკელი კონგრესმენები მაინცდამაინც არ იკლავდნენ თავს, რომ პირად საუბრებში ჩვენი საშინაო თემები წამოეწიათ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რასაც „ნაციონალები“ ყვებიან, ეს არის ახლა და აწყობენ პროვოკაციებს, რომ მიხეილ სააკაშვილი დააბრუნონ ხელისუფლებაში. მერწმუნეთ, შეიძლება ჩვენ წავიდეთ ხელისუფლებიდან, მაგრამ „ნაცმოძრაობას“ მობრუნების პერსპექტივა მაინც არ აქვს.

**— ბატონო ომარ, ეს გასაგებია, მაგრამ მინდა გაგახსენოთ, რა გადაწყვიტეთ უმრავლესობის წევრებმა პრემიერ-მინისტრთან ბოლო შეხვედრაზე — უნდა გააქტიურებულიყავით დეპუტატები და გემუშავათ არნახული ტემპით. ამას ვერ ვხედავთ.**

– დიახ, ასე გადავწყვიტეთ... მე ვფიქრობ, ეს საკითხი შიდა სამზარეულოშია მოსაწესრიგებელი. კი, ჟურნალისტები გვირეკავენ, რაღაცას გვეკითხებიან, მაგრამ პარლამენტს ჰყავს პიარი, ჰყავს პრესსამსახური და მეჩვენება, რომ ისინი არ აქტიურობენ. მათ უნდა ჰქონდეთ რაღაც გეგმა. შეიძლება არ დაიჯეროთ, ამ კუთხით პარლამენტში ვინც მუშაობს, საერთოდ არ ვიცნობ, ისინი საერთოდ არ მაწუხებენ. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს ეს საკითხი გედი ფოფხაძემ წამოსწია, ვისაც რა გვესმის, ვინც რისი სპეციალისტი ვართ, ვისაც რა შეგვიძლია, ჩამოვყალიბდეთ და იქით შევაწუხოთ ჟურნალისტებიო. გედის პრემიერ-მინისტრიც დაეთანხმა. კი, ბატონო, ჟურნალისტები უფრო ცნობად სახეებს ეტანებიან, მაგრამ თუ დეპუტატი იაქტიურებს და საინტერესო თემებს წამოსწევს, პრესა ყურადღებას მიაქცევს. არადა, მართლა არიან პარლამენტში ადამიანები, რომლებსაც განათლების დონეც აქვთ, ლოგიკაც აქვთ და ლაპარაკიც შეუძლიათ, ნამდვილად არ არიან მუნჯები.

**— ბატონო ომარ, დავუბრუნდეთ ამერიკის თემას: იქიდან რა ჩამოიტანეთ? თქვენ იყავით 10 დღე მივლინებით, ქვეყანას რა ხეირი?**

– ჩვენ ბიუჯეტის თანხებით არ წავსულვართ, ეს მივლინება გააკეთა „აირაიმ“, ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. სხვათა შორის, ერთი „ნაციონალიც“ გვყავდა დელეგაციაში, ვაჟა ჩიტაშვილი, შედარებით წყნარი კაცია, თორემ შეიძლება ვერ ამეტანა. ლექციები, ვუტარე ბლომად. მე მგონი, ჩვენკენ შემოტრიალდა. მოკლედ, ჩვენ ვიყავით რამდენიმე შტატში და ვნახეთ, როგორ არის იქ განვითარებული სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის ფაკულტეტები უნივერსიტეტებში და საცდელი მეურნეობები. ჩვენთან ყველა საცდელი მეურნეობა გაიყიდა და მიწები დაიტაცეს, გაყიდეს, გაანადგურეს, მოსპეს, „დაჩებად“ დაირიგეს. მერილენდის უნივერსიტეტს 900 ჰექტარი აქვს გამოყოფილი, სტუდენტები მუშაობენ მეცნიერებთან ერთად. ჩვენ უახლოეს ხანში ანგარიშს წარვადგენთ, პარლამენტში მოსმენა იქნება, ამერიკაში განვითარებულია კოოპერაცია, ჩვენი გლეხი ვერ მივიყვანეთ ამ დონემდე. იქ შეიძლება ფერმერს 1000 ჰექტარი მიწა ჰქონდეს და მაინც ერთიანდება კოოპერატივში, ჩვენთან 1 ჰექტარი აქვს ადამიანს და ცოცხალი თავით არ მიდის არავისთან. მაგალითად, ისრაელში არის კიბუცები, ეს კოოპერაციის ერთ-ერთი ფორმაა, ებრაელებმა უდაბნო ააყვავეს. ჩვენს გლეხს უნდობლობაც სტანჯავს, გაუცხოებულები ვართ, ერთმანეთს არ ვენდობით.

**— ხელისუფლებამ იმდენჯერ გადააგდო გლეხიც, მუშაც და ინტელიგენტიც, რომ ნდობა საერთოდ დაიკარგა.**

– კი, ბატონო, სწორია, ჩვენ არა მხოლოდ ერთმანეთი გადავაგდეთ, სახელმწიფომაც არაერთხელ გადაგვაგდო. სხვათა შორის, ჩვენ მივიღეთ კანონი კოოპერაციის შესახებ და ამერიკელებს ძალიან მოეწონათ, ახლა მთავარია, რეალური ნაბიჯები გადაიდგას, მათი გამოცდილება ბევრს ნიშნავს. ჩვენ ბევრი მასალა წამოვიღეთ, ეს უნდა ითარგმნოს და დალაგდეს ქართული სინამდვილის მიხედვით. ამის შემდეგ უნდა შევიტანოთ განათლება და გამოცდილება გლეხებში. ეს შესაძლებელია... ვაშინგტონში ჩვენი სოფლის მეურნეობის მინისტრიც იყო ჩამოსული, ისიც გაეცნო ამერიკელების გამოცდილებას.

**— დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ რამდენიმე მინისტრის გადაყენებაზე, ამის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია გაქვთ პარლამენტში?**

– ეს თემა ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა... რამდენიმე მინისტრი რომ შეიცვალოს, ნამდვილად არ იქნება გასაკვირი. ბოლო პერიოდში ცოტა გააქტიურებას ვხედავ მინისტრების მხრიდან, მაგრამ უკმარისობის გრძნობა მაინც მაქვს. როდესაც მოსახლეობას ვხვდები, იქაც აშკარად ჩანს, რომ მთავრობის ზოგიერთმა წევრმა მართლა ვერ გამოიჩინა თავი. ამაზე ირაკლი ღარიბაშვილმაც თქვა, მთავრობაში ცვლილებები იქნებაო. კონკრეტულად არ ვიცი, ვინ შეიცვლება, როგორ და რანაირად, მაგრამ ალბათ ცვლილებები იქნება, გაძლიერება და გააქტიურებაა საჭირო, „ნაცბანდა“ უკვე სადღეღამისო მუშაობაზეა გადასული. მაგალითად, თუ პარლამენტში უმრავლესობიდან ვინმე მათთან შერიგებას ან პატიებას მოინდომებს, მას ხელს ვეღარ ჩამოვართმევ. ჩემი ძმაც რომ იყოს, ასე მოვექცევი.

**— მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი ამბობს, ჩვენ მიხეილ სააკაშვილს არავინ დაგვაჩაგვრინებსო. თუ უმრავლესობა შეშინდება იმის გამო, რომ ვიღაც მოსყიდულები ცოტა ისეთ რევოლუციას მიიღებენ, ეს იქნება კატასტროფა. სააკაშვილს არავინ არ ჩაგრავს, მან პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე.**

– გეთანხმებით, თუ ძალოვანი ორგანოები კარგად იმუშავებენ და ზუსტ დოკუმენტებს დადებენ, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს. მე პირადად ვერავინ დამარწმუნებს, რომ სააკაშვილს არაფერი დაუშავებია, იმაზე მეტი საბუთი მოიძებნება, ვიდრე მის დაპატიმრებას სჭირდება. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ჩაჯდება ციხეში. ჯერ გამოძიება მუშაობს, თუ რამე მიკერძოებას ექნება ადგილი, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ. ალბათ, მოთხოვნა არც დაგვჭირდება.

**— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ არ დათმობთ?**

– დიახ, არ დავთმობთ.

**— თქვენ ორი თვის წინაც ასე მეუბნებოდით, არ დავთმობთო, როცა საპარლამენტო კომისიამ აუდიტის სამსახურის საქმიანობა შეისწავლა და „ნაციონალ“ ლაშა თორდიას დარღვევები აღმოუჩინა, მაგრამ დათმეთ, დასკვნა პროკურატურას არ გადაუგზავნეთ.**

– კი, მახსოვს, თამაზ მეჭიაურია ამ კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მდივანი – კარლო კოპალიანი.

**— კი, მაშინ მითხარით, პროკურატურაში გადაგზავნას ვაპირებთ, ვიღაცები ჩალიჩობენ, მაგრამ ჩვენ არ დავთმობთო.**

– დიახ, სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი და ჩვენ დასკვნა პროკურატურას მაინც გადავუგზავნეთ. თავიდან გვინდოდა გადაგზავნა, მერე იყო რაღაც ხელის შეშლა და ითქვა, აღარ გადაიგზავნებაო, მაგრამ მოგვიანებით მაინც შევიტანეთ.

**— მერე, შედეგი არის?**

– რაკი გაიგზავნა, პროკურატურა ვალდებულია, გამოძიება დაიწყოს. ვნახოთ, ცოტა ხანში მოვიკითხავთ. ასე რომ თაროზე არ შემოგვიდვია და ველოდებით პასუხს პროკურატურიდან.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრემიერი 19 წლის ახალგაზრდის გატაცების უკან „ნაციონალური მოძრაობის“ კვალს ხედავს

ირაკლი ღარიბაშვილმა იოსებ გიორხელიძის გატაცების ფაქტზე კომენტარი გააკეთა: „მე მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამის უკან დგას ორგანიზებული ძალა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, გამოძიება სჭირდება. ეს არის ის, რაზეც ალექსანდრე ჭიკაიძე საუბრობდა სულ რაღაც ერთი თვის წინ, რომ ეს არის ორგანიზებული ჯგუფი“.



პრემიერის თქმით, კუდ-ისა და სოდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების ოპერაციას პირადად შს მინისტრი ხელმძღვანელობდა.

„მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას, ვის ხელში იყო საქართველო. ასეთი კრიმინალების, გამტაცებლების, მკვლელებისა და ყაჩაღების ხელში იყო მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესენი მართავდნენ საქართველოს. გასარკვევია, ვინ დგას ამის უკან და სამინისტრო და მინისტრი ამის გარკვევაზე მუშაობენ. ეს შემთხვევითი არ არის“. – განაცხადა პრემიერმა.

„მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო ის ადამიანები, ვინც დგას მათ უკან და ვის ბინძურ თავშიც იხარშება ეს სისასტიკე, რომელიც იგეგმებოდა წლების განმავლობაში, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ხურჩის ტერაქტი, ისინი, ვინც აუპატიურებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს პოლიციაში, ციხეებში, იტაცებდნენ და კლავდნენ ადამიანებს. მინდა, მათ საბოლოო გაფრთხილება მივცე – გონს მოეგონ, თუ ისინი სახელმწიფოსა და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავენ, უმკაცრესად დაისჯებიან. ძალიან მკაცრად დაისჯება ყველა, ვინც მსგავს პროვოკაციასა და სიბინძურეს გააკეთებს“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პოლიციამ სოციალურად დაუცველთა აქცია დაშალა



ხმაური იყო ფოთში, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, სადაც დევნილები და სოციალურად დაუცველები აქციას მართავდნენ. აქციის მონაწილეებს ქალაქში შესასვლელი გზა თითქმის 2 საათის განმავლობაში ბლოკირებული ჰქონდათ – ისინი ელექტროენერგიის ჩართვას ითხოვდნენ.

მოქალაქეთა ეს ჯგუფი ფოთში, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე მყოფ ერთ-ერთ შენობაშია შესახლებული. მათ ელექტროენერგიის მიწოდება შეჩერებული აქვთ და უკვე კვირაზე მეტია დენის მიწოდების აღდგენას საპროტესტო აქციებზე ითხოვენ.

„ენერგო-პრო ჯორჯიაში“ კი აცხადებენ, რომ ქონება კერძო საკუთრებაა და მისი კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის უფლება არ აქვთ.

ვითარების დეტალები აქციის მონაწილეებს ქალაქის მერმა განუმარტა და დახმარებასაც დაჰპირდა, თუმცა მისი წინადადება აქციის მონაწილეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

საბოლოოდ აქცია სამართალდამცველების ჩარევის შემდეგ დაიშალა. პოლიციამ აქციის მონაწილეებს ტერიტორია დაატოვებინა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ინციდენტის დროს აქციის მონაწილე ფეხმძიმე ქალი შეუძლოდ გახდა.

აქციის მონაწილეთა პრობლემებზე განმარტება გააკეთა ფოთის მერმა. ირაკლი კაკულია აცხადებს, რომ აღნიშნულ შენობაში მხოლოდ ხუთი ოჯახია დევნილების, რომლებსაც ელექტროენერგია მიეწოდებათ, დანარჩენები კი უკანონოდ არიან შეჭრილები შენობაში და მათი მიზანია, ფართების დაკანონების მიმართულებით პირველი ნაბიჯი – ინდივიდუალური გამრიცხველიანებით გადაიდგას. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



„ნაციონალების“ მზაკვრულ-პარტიზანული გეგმები კი გაამყარა შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ. „ალიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კონკრეტული ჯგუფი, რომლის უკანაც „ნაციონალური მოძრაობა“ დგას, აპირებს შს სამინისტროზე იერიშის მიტანას, ქაოსის შექმნას, ანტიკონსტიტუციური გზებით სახელმწიფოს დამხობას. მინისტრის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა კონკრეტული დავალებები მისცა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს“



ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, „კვირის ქრონიკამ“ გიგი უგულავას ცნობილი წერილი გამოაქვეყნა, სადაც ის თანამებრძოლებს მოუწოდებდა, რომ ქვეყანაში შეექმნათ აპოკალიფსი. დედაქალაქის ექსმერმა წერილის ავტორობა უარყო, თუმცა, მოგვიანებით ჩვენ ვნახეთ ამ წერილში გაწერილი გეგმის ამოქმედება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ უგულავას წერილი ჟურნალისტებისთვის ერთგვარ „შპარგალკადაც“ იქცა და ადვილი გახდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერის ამოცნობა, კონკრეტული ინციდენტების მიღმა. „ნაციონალების“ მზაკვრულ-პარტიზანული გეგმები კი გაამყარა შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ. „ალიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კონკრეტული ჯგუფი, რომლის უკანაც „ნაციონალური მოძრაობა“ დგას, აპირებს შს სამინისტროზე იერიშის მიტანას, ქაოსის შექმნას, ანტიკონსტიტუციური გზებით სახელმწიფოს დამხობას. მინისტრის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა კონკრეტული დავალებები მისცა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს.

უფრო კონკრეტულად კი, აი, რას აცხადებდა „ალიასთან“ ინტერვიუში შს მინისტრი:

# „ალიას“ ექსკლუზივი

- **რატომ შეარჩიეს გამტაცებლებმა როინ გიორხელიძის შვილი?**
- **როგორ გავიდა გამოძიება გამტაცებლების კვალზე?**
- **სად მალავდნენ გატაცებულს?**
- **სად ჩატარდა გამტაცებლების აყვანის სპეცოპერაცია?**



„იოსებ გიორხელიძე, 10 ოქტომბერს, გოთუას ქუჩაზე მდებარე საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან გაიტაცეს. მას ერთ-ერთმა გამტაცებელმა თავი გაზის ინკასატორად წარუდგინა და როდესაც კარი გააღო, ბინაში 4 ადამიანი შევიდა და ახალგაზრდა იარაღის მუქარით გაიტაცა. ცხადია, კითხვების ჩნდება, რატომ უნდა გაეტაცებინათ მაინცდამაინც როინ გიორხელიძის შვილი?“

**„მიხეილ სააკაშვილს მიცემული აქვს დავალებები, რომ შექმნას კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, დაიყოფა ცალკეულ მობილურ ჯგუფებად. მათ უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის პოლიციის თვალწინ, ეცადონ, მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, მოაწყონ აგრესიული საპროტესტო აქციები, სხვადასხვა თემების მანიპულირებით, როგორიცაა კრიმინოგენური ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა, გამოიყენონ დევნილთა პრობლემები, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე მოახდინონ გაფიცვების პროვოცირება, შექმნან ქაოსური ვითარება, მათი მიზანია, შექმნან ნეგატიური ფონი როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე უცხოურ მედიაში და დიპლომატიურ საზოგადოებაში. სააკაშვილისვე დავალებით ქაოსის შექმნის გეგმაში უნდა ჩართონ ეროვნული უმცირესობები, უნდა შეიქმნას ეროვნული უმცირესობებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები საქართველოში. ეს არის ნაწილი გეგმისა, რასაც სააკაშვილი გეგმავს. პირადად ვაცხადებ, რომ ამ გეგმას განხორციელება არ უწერია! ისინი ვერც იმ ილუზიას შექმნიან, რომ თითქოს ქვეყანაში არის ქაოსი და ანარქია. მათი სურვილები დარჩება სურვილებად. ყველამ გაიგოს, ვინც ანტიკონსტიტუციური გზით წავა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის, კანონის წინაშე ყველა უმკაცრესად დაისჯება!“**

ალბათ, შს მინისტრმა განცხადება ოპერატიული და უტყუარი ინფორმაციების საფუძველზე გააკეთა, თუმცა საზოგადოებაში არსებობს ლეგიტიმური კითხვები და მოთხოვნა, რომ შსს-მ გაატაროს პრევენციული ღონისძიება და არ დაუშვას, ადამიანების დაუთოება, ყაჩაღობა, ეკლესიების გაძარცვა, ქუჩაში ანგარიშსწორება, ვერ გაბედონ ადამიანის გატაცება და ა.შ. და მაინც, რატომ ხდება ერთი ხელწერით ოჯახების დაყაჩაღება? რატომ ჩაანაცვლა ავადსახსენებელი „ცოცხები“ „უთომ“ და რატომ გახშირდა ადამიანების დაუთოება? მაშინაც კი, როცა ყაჩაღები საწადელს ისედაც აღწევენ, ჯერ იყო და დასავლეთში ბავშვი დააუთოეს, შემდეგ ვაკეში მოხუცი ქალბატონი აწამეს ცხელი უთოს გამოყენებით, რამდენიმე დღის წინ კი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ნიღბიანებმა მამაკაცს ჯერ იარაღის

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რაში დასჭირდა რუსეთს აფხაზეთთან ერთობლივი ჯარის შექმნა?

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტში რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ შეთანხმების პროექტს განიხილავენ, რომელიც გაერთიანებული ჯარების დაჯგუფების შექმნას ითვალისწინებს. შეთანხმება ითვალისწინებს საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნას და ერთობლივ მოქმედებებს აფხაზეთის ე.წ. საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით. ამავე პროექტით, რუსეთი ყოველმხრივ ხელს შეუწყობს აფხაზეთის საერთაშორისო კავშირების უზრუნველყოფას, მათ შორის იმ სახელმწიფოების წრის გაფართოებას, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ასევე, შექმნის წინაპირობას აფხაზეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის.

„ალიას“ ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრა:

**— ბატონო რამაზ, რუსეთს ჯარი ისედაც ჰყავს აფხაზეთში და რას ნიშნავს პარლამენტის დონეზე ამ საკითხების გადაწყვეტა, სინამდვილეში რა დგას ამ გადაწყვეტილების მიღმა?**

– ამ პროექტის მიღმა დგას უკრაინული სცენარი. დამოუკიდებლობის იდეა განახორციელა რუსეთის დონეზე აფხაზეთმა, ახლა სავარაუდოა, რომ იურიდიული გაფორმება სურს ინტენსიური ურთიერთობის. მოგეხსენებათ, ჯარი იურიდიული მოვლენა არაა. თუკი მას ექნება რაღაც ანალოგიური ხელშეკრულება, ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია, ამ ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულად გააფორმოს სამხედრო დახმარება. ის, რაზეც საუბარია უკრაინაში, რომ აქვს თუ არა უფლება რუსეთს იურიდიულად, იქ ჯარები შეიყვანოს, თუკი ეს ხელშეკრულება იარსებებს, ეს ერთ-ერთი ფაქტორი იქნება იმისა, რომ სიმყარე ჰქონდეს რუსეთის იქ ყოფნას. აფხაზურ პოლიტიკურ წრეებში არ გაჩენილა ეს ინიციატივა. აფხაზეთში განწყობილებები ცალსახად პრორუსული არაა, ხშირად გასჭირვებია თავისი იდეების გატარება მას, ამიტომ ეს ინიციატივა ვერ წამოვიდოდა აფხაზეთიდან. ახლა უფრო მეტი პრობლემა აქვს რუსეთს და ამიტომ დასჭირდა მას აფხაზეთში პოზიციების გამყარება. ფაქტობრივად, ეს არის იმის გარანტი აფხაზებისთვის, რომ თუკი რამე საფრთხე დაემუქრებათ თუნდაც საქართველოსგან, რუსეთი ჩაერთვება დახმარების პროცესში. ეს ისეთივე ტიპის თანამშრომლობაა, როგორ თანამშრომლობასაც ჩვენ ვაპირებთ ნატოსთან.



**— ამერიკის ელჩი ასეთ საკითხებზე ყოველთვის რეაგირებდა ხოლმე, ახლა ხმა არ ამოუღია. რატომ?**

– იმათ განცხადების გასაკეთებელი ბევრი აქვთ უკრაინასთან დაკავშირებით და ამიტომ. დასავლეთს ადრეც უჭირდა იმის დანახვა, რომ რუსეთის უგულებელყოფა თავად დასავლეთს ჩააგდებდა ცუდ დღეში. ეს ვერ შეამჩნია აფხაზეთის პროცესების დროსაც, ვერც 2008 წელს, მხოლოდ მცირე დეკლარაციები გააკეთა, შედეგად მიიღო უკრაინის ამბები. ეს ჯაჭვი, ანუ უგულებელმყოფელი პროცესი რომ უკრაინის კრიზისად მოუბრუნდა, ალბათ, ვერ გააცნობიერა ჯერ კიდევ.

**— ასე თუ გააგრძელეს, მაშინ რად მინდა დასავლეთი? თუ მე მჭირდება და მხარს არ დამიჭერს, როცა მას დავჭირდები, თავქუდმოგლეჯილი გავიქცე მისკენ?**

– როცა სჭირდება ევროკავშირს, ის მხარს გვიჭერს. ბოლო დროს ევროპა და ამერიკა გააქტიურდნენ ნავთობსადენის გაჩენის მერე, აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ ევროკავშირი არ აზროვნებს აბსტრაქტული იდეებით? ის კონკრეტული ინტერესებით ხელმძღვანელობს. ახლა ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ინტერესებით.

*ჟანა ასანიძე*

*მეხუთე გვერდიდან*

კონდახი ჩაარტყეს და შემდეგ, ცხელი უთოთი დაზიანებები მიაყენეს? ვისთან მიდის კვალი და ვისი ხელწერაა? ასეთი დამთხვევები რომ სპონტანურად არ ხდება, ეს ცალსახაა და რა უნდა ვივარაუდოთ მაშინ? რატომ არ ხდება დამნაშავე დაჯგუფების კვალზე გასვლა, რომელთაც შეიძლება ერთი დამკვეთი ჰყავდეს? საინტერესოა, სააკაშვილის მიერ შეწყალებული ყველაზე საშიში დამნაშავეები, რომელთა სიაც არაერთხელ გამოაქვეყნა „ალია“-„ქრონიკამ“, მიმდინარეობს თუ არა მათზე მონიტორინგი? ლალი მოროშკინამ „ალიასთან“ ინტერვიუში ჯერ კიდევ 2013 წლის ბოლოს განაცხადა, რომ სააკაშვილს ჰყავს მობილური ჯგუფი, რომლებიც დამკვეთის ზარს ელოდებიან, დაიწყება ყაჩაღობა,



„გატაცებული იოსების მამა, როინ გიორხელიძე, მოღვაწეობს მოსკოვში, ის არის წარმატებული ბიზნესმენი, წარმოშობით გახლავთ წყალტუბოდან, ითვლება შეძლებულ ადამიანად, მას გამტაცებლების არანაირი ვალი არ ჰქონია და არც პირადი კონფლიქტი რომელიმე მათგანთან არ გააჩნდა“

ძარცვა, ადამიანების გატაცება და ეს დაჰბრალდება ხელისუფლების უნიათობასო.

ის, რაც მოხდა ორი დღის წინ, როდესაც 19 წლის ახალგაზრდა ყოფილმა ძალოვნებმა გაიტაცეს, ფულის გამოძალვის მიზნით, კიდევ ერთხელ ამყარებს ეჭვს, რომ ისინი კონკრეტული დავალებით მოქმედებენ.

იოსებ გიორხელიძე, 10 ოქტომბერს, გოთუას ქუჩაზე მდებარე საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან გაიტაცეს. მას ერთ-ერთმა გამტაცებელმა თავი გაზის ინკასატორად წარუდგინა და როდესაც მან კარი გააღო, ბინაში 4 ადამიანი შევიდა და ახალგაზრდა იარაღის მუქარით გაიტაცეს. ცხადია, კითხვების ჩნდება, რატომ უნდა გაეტაცებინათ მაინცდამაინც როინ გიორხელიძის შვილი? საიდან იცნობდნენ გიორხელიძეების ოჯახს? ხომ არ ჰქონდა გატაცებულის მამას გამტაცებლების ვალი ან სხვა პირადი კონფლიქტი? „ალიამ“ გაარკვია, რომ გატაცებული იოსების მამა, როინ გიორხელიძე, მოღვაწეობს მოსკოვში, ის არის წარმატებული ბიზნესმენი, წარმოშობით გახლავთ წყალტუბოდან, ითვლება შეძლებულ ადამიანად, მას გამტაცებლების არანაირი ვალი არ ჰქონია და არც პირადი კონფლიქტი რომელიმე მათგანთან არ გააჩნდა. საქმე ისაა, რომ გამტაცებლებიდან ერთი, კერძოდ კი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, 1962 წელს დაბადებული დურმიშხან ღვარჩლიანი, წარმოშობით არის წყალტუბოდან და გიორხელიძეების ფინანსური შესაძლებლობა კარგად იცოდა, ის დარწმუნებული იყო, რომ მოთხოვნილ 300 000-ს საკუთარი შვილის გამოსასყიდად უპრობლემოდ გადაიხდიდა. სხვათა შორის, უცნაური ისაა, რომ გამტაცებლებმა ახალგაზრდა თბილისთან ახლოს, მცხეთის რაიონში, არმაზში გადამალეს, და არა, ვთქვათ, უკონტროლო ტერიტორიაზე, თუნდაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში?

„ალიამ“ ასევე გაარკვია, როგორ მოხდა დანაშაულის კვალზე გასვლა. გამტაცებლები იოსებ გიორხელიძეს სვამენ მანქანაში და პირველად მიჰყავთ „ნახალოვკაში“, საიდანაც მას საკუთარი მობილური ტელეფონით არეკვინებენ მამასთან და თავად იოსები ატყობინებს მამას, რომ გატაცებულია და უნდა დაელოდოს ზარს. ამის შემდეგ, იოსების მობილურს გამტაცებლები აგდებენ და ის მიჰყავთ წყნეთში. როინ გიორხელიძე პირადად აყენებს შს მინისტრს საქმის კურსში. იგეგმება სპეცოპერაცია. როინ გიორხელიძის ტელეფონზე შემოდის ზარი და მას კონკრეტულ ციფრს ეუბნებიან გამტაცებლები, რომ გადასახდელი აქვს 300 000 დოლარი. შემოსული ზარის დახმარებით შსს ადგენს გამტაცებლების ადგილსამყოფელს, ზარი დაფიქსირდა წყნეთიდან. გამტაცებლები გაიყვნენ ორ ნაწილად, ორი მათგანი იმყოფებოდა წყნეთში, ხოლო გატაცებული კი ორ მათგანს ჰყავთ არმაზის ხეობაში. გიორხელიძეს უნიშნავენ ფულის გადასაცემად ადგილს და ეს ადგილია წყნეთი. როინ გიორხელიძე მიდის დანიშნულების ადგილზე და ხდება საქმის გახსნა, გატაცებიდან 4 ოთხი დღის შემდეგ, თუმცა ეს ძალიან უცნაურია, ასეთი დაუნი როგორ უნდა იყო ყოფილი ძალოვანი, რომ იმ ტელეფონით რეკავდე, რომელსაც არ აგდებ და იტოვებ?



„მაინტერესებს ბატონო პრემიერო, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალია და პარტიის სახელსაა ამოფარებული, ან ჩვენ რას გვაწვალებთ, ან მაგათ რატომ „აბლატავებთ“? როცა პარლამენტში კრიმინალის დამკვეთი და ზოგიც ხელის დამფარებელი ზის, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენი კოალიცია კრიმინალს „აპრავებს“? რატომ არ ხვდება ევროსაბჭოს რეზოლუციაში იმ ადამიანების გვარები, ვინც სასაკლაო მოაწყო მესტიაში?“

**რჩება შთაბეჭდილება, რომ გამტაცებლები ან კონკრეტული ჯგუფის დავალებით მოქმედებდნენ, რაზეც შინაგან საქმეთა მინისტრი საუბრობდა „ალიასთან“ ინტერვიუში, ან დასტურდება ინფორმაციები, რომ „კუდ“-ისა და „სოდ“-ის თანამშრომლები ნამდვილად იყვნენ, კრიმინალები, მკვლელები, ადამიანების გამტაცებლები, სადისტები, „სიკვდილის ესკადრონების“ ავტორები, ყაჩაღები და ის, რომ კრიმინალი სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი, ამიტომაც ქუჩაში აღარ იყვნენ კრიმინალები, რომლებიც ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ და აყაჩაღებდნენ, ისინი სახელმწიფოს სახელით გვესხმოდნენ თავს და თუკი არც ერთი მანქანა არ ტყდებოდა, თუკი სადარბაზოებში ადამიანებს არ აყაჩაღებდნენ და არ აუთოებდნენ, ეს იმიტომ, რომ უფრო დიდ ნადავლზე ნადირობდნენ, სახელმწიფო ინსტრუმენტების გამოყენებით. ჰოდა, გეკითხებით „ნაციონალებო“, ვიღას უნდა ეყაჩაღა ქუჩებში, მთელი კრიმინალური სამყარო თქვენთან ყოფილა მოკალათებული.**

პრემიერ-მინისტრმა მომხდარზე განაცხადა: „მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას, ვის ხელში იყო საქართველო. ასეთი კრიმინალების, გამტაცებლების, მკვლელებისა და ყაჩაღების ხელში იყო მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესენი მართავდნენ საქართველოს. გასარკვევია, ვინ დგას ამის უკან და სამინისტრო და მინისტრი ამის გარკვევაზე მუშაობენ. ეს შემთხვევითი არ არის“. გახმაურებულ მკვლელობაში, გირგვლიანით დაწყებული, რობაქიძით დასრულებული „ნაციონალების“ მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებს, ჰოდა, რა მაინტერესებს, ბატონო პრემიერო, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალია და პარტიის სახელსაა ამოფარებული, ან ჩვენ რას გვაწვალებთ, ან მაგათ, რატომ „აბლატავებთ“? როცა პარლამენტში კრიმინალის დამკვეთი და ზოგიც ხელის დამფარებელი ზის, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენი კოალიცია კრიმინალს „აპრავებს“? რატომ არ ხვდება ევროსაბჭოს რეზოლუციაში იმ ადამიანების გვარები, ვინც სასაკლაო მოაწყო მესტიაში? ის, რაც გია ბარამიძემ ჩაიდინა, როცა ვერტმფრენებითა და დამხმარე ტექნიკით ამოხოცა აფრასიძეები, ეს მკვლელობაა და არა კრიმინალის აყვანის სპეცოპერაცია, ისინი თავს დაესხნენ მძინარე ოჯახს, სადაც იმყოფებოდნენ ბავშვები, ქალები და გაუფრთხილებლად გაუხსნეს ცეცხლი. ეს რომ დასავლეთის ქვეყანაში მომხდარიყო, საუკუნის ბარბაროსულ აქტად შეფასდებოდა. როგორ შეიძლება საქართველოს პარლამენტის სახელით ლაპარაკობდეს გია ბარამიძე? მეტიც, ბარამიძე სოციალურ ქსელში პრემიერ-მინისტრს აფრთხილებს, „თუ ღარიბაშვილმა ადამიანის გატაცება მართლა „ნაციონალურ მოძრაობას“ დააგვაბრალა, მაშინ მე მას ვეტყვი, რომ ის არის უნამუსო ცილისმწამებელი და უკანასკნელი ნაძირალა!“

აი, მორალი, ბატონო პრემიერო. აღარ დადგა დრო, დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოთ?

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „სააკაშვილის გამოჩენა საქართველოში სამოქალაქო ომს გამოიწვევს“



საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი დარწმუნებულია, რომ „სააკაშვილის გამოჩენა საქართველოში სამოქალაქო ომს გამოიწვევს“. მისი განცხადებით:

„სულ მქონდა განცდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ასე პოზიტიურად არ შეიძლებოდა დაემთავრებინა თავისი მოღვაწეობა, როგორც ეს ორი წლის წინათ გამოჩნდა. ახლა ვხვდები, რომ მათი წასვლა არ მოხდება მშვიდობიანად. ისინი აუცილებლად შექმნიან რაღაც პრობლემებს, მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს აღარ იქნება მარტო მათი და ხელისუფლების საქმე. არ გამოვა, რომ ლაჩარმა კაცმა, რომელსაც თვითმფრინავის ხმის ეშინია, ზოგი დახოცოს, ზოგი ციხეში ამოალპოს და ზოგს ქვეყანა დაატოვებინოს. ეს აღარ გამოვა. ამას აღარ დავუშვებთ“, – განაცხადა ნარჩემაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტების გზას დაინახავს“




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოველში, ტაძრის დღესასწაულზე, წირვის შემდეგ ქადაგებისას ტაძარში შეკრებილთ დღესასწაული მიულოცა და ბრძანა, რომ ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც დაინახავს, სად არის ჭეშმარიტების გზა.

„ეს გზა ყოველმან ადამიანმა უნდა იპოვოს. ხშირად ეს გზა არის ვიწრო, განსაცდელებით სავსე, მაგრამ ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა“, – ბრძანა უწმინდესმა.

ილია მეორემ ასევე განაცხადა, რომ სვეტიცხოველში დაბრძანებული იყო ათონის მთაზე დაწერილი ყოვლადწმინდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი.

უწმინდესის თქმით, ღვთის ძალითა და შეწევნით განსაცდელები დაძლეული იქნება.

საქართველოს პატრიარქი მიესალმა ასევე ტაძარში მყოფ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობის წევრებს და აღნიშნა, რომ მოხარულია, რომ ისინი ტაძარში იმყოფებოდნენ. (რეპორტიორი)



## სამმა ლაზმა მცხეთის საპატიო მოქალაქეობა მიიღო

სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით მცხეთაში სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის, დაჯილდოების ცერემონიაც. საქართველოს სამმა მოქალაქემ, ლაზებმა მცხეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიიღეს.

„უპირველესად, მინდა, გითხრათ, რომ ლაზები და ქართველები ერთი სისხლისანი ვართ. რაც შეეხება ჩემს ჯილდოს, ჩვენ ხიდი გავავლეთ ლაზებსა და საქართველოს შორის. ალბათ, ამიტომ ჩათვალა საჭიროდ ქართველმა ხალხმა, ეს ჯილდო მოენიჭებინა“, – განაცხადა ერთ-ერთმა დაჯილდოებულმა ემრე ქურქანმა. (ფრონტნიუსი)

# რას უყვება მამა ბასილი „ალიას“ იელოველების მიერ სტრასბურგში მოგებულ პროცესზე?

**სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას იელოველების სასარგებლოდ, მათი დევნა-შევიწროებისთვის, 50 000 ევროს გადახდა დააკისრა. დაზარალებულად 99 მოქალაქე ცნეს და თითოეულისთვის კომპენსაცია, გავრცელებული ინფორმაციით, 350 ევროა. ამას ემატება იურიდიული და სხვა ხარჯები. საქმე ეხება 2001 წელს მომხდარ პროცესებს. „იეჰოვას მოწმეები“ აცხადებენ, რომ ბასილი მკალავიშვილი და მისი მომხრეები მათ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე სცემდნენ.**

**რა პოზიცია აქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით ბასილ მკალავიშვილს?**

**„ალიას“ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი ესაუბრა:**

– არ გამკვირვებია სტრასბურგის სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება, აზრადაც არ გამივლია, რომ მართლმადიდებელთა სასარგებლოდ გადაწყდებოდა, რამეთუ ეს სასამართლო მსოფლიო სექტანტების მხარდამჭერებით არის დაკომპლექტებული. ეს სექტა საქართველოში თავიდანვე აგენტურული საქმიანობისთვის იყო შემოგზავნილი. მათი მოქმედებისთვის ჩვენს ქვეყანაში საზღვარგარეთიდან უამრავი დაფინანსებაა გამოყოფილი. წარმოიდგინეთ ჯორჯ სოროსს რაში სჭირდება ამდენი თანხის გაღება, თუ რაიმე ბნელი მიზანი არ ამოძრავებს? ესენი ასრულებენ იმ მასონური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაკვეთებს, რომელთაც შიშის ზარს სცემს მართლმადიდებლობა და სწორედ ამის გამო მათი დაუოკებელი სწრაფვაა, მოსპონ და ამოძირკვონ მთელ მსოფლიოში ჭეშმარიტი სარწმუნოების ფესვები, გაანადგურონ მართლმადიდებლობა, რომელიც გააფთრებით ებრძვის ყველა ეშმაკისეულ მიმდევარს. მასონებს ყველა ქვეყანაში ჰყავთ აგენტურა და მათი ლიდერები. საქართველოში მათი მამამთავარი ბოკერიაა, ის იღებს საზღვარგარეთიდან აურაცხელ გრანტს და მერე უნაწილებს იელოველებსა და სხვა სექტებს. იელოველები იმდენად ცბიერნი არიან, რომ იწვევენ ადამიანებს, იქამდე მიიყვანენ, თავი აცემინონ, შემდეგ კი დაზარალებული, უწყინარი კრავის სახით ჩივიან სხვადასხვა სასამართლოში. მე იელოველებს ჰაერზე არ ვებრძოდი, ახლაც მიდევს არქივში ის სულის წარმწყმედელი ბროშურები, მაგათი გამოცემულები, სადაც თეთრზე შავად წერია, როგორ აცამტვერებენ ყოველგვარ სარწმუნოებრივს. სხვას რომ თავი დავანებოთ, გამოდიან და უტიფრად აცხადებენ: „ქრისტიანობა საქართველოში მე-20 საუკუნეში შემოვიდაო“, ე.ი. როცა ესენი შემოვიდნენ საქართველოში.




„მაშინ საპატრიარქო მაყურებლის როლში გამოდიოდა, მაგრამ ბოლოს მათაც გაიგეს ამ სექტის მზაკვრული გეგმები მაშინ, როცა მიტოვებული ეკლესიებიდან ხატებისა და ჯვრების გამოტანა და დაწვა დაიწყეს, მერე კი თვით საპატრიარქოს მიუკაკუნეს და მთავრობასთან ერთად დღესაც ებრძვიან ეკლესიას“



ყველაზე მტკივნეული ჩემთვის ის არის, რომ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ჩემთან იყვნენ მოსულნი ტელევიზიის წარმომადგენლები, მე მათ ავუხსენი ფაქტებით ყოველივე, თან ვთხოვე, ობიექტურად გადაეცათ ინფორმაცია, მათ კი არც გააშუქეს. ეს საშინელი სექტის წარმომადგენლები ჩაგრულის როლში წარმოაჩინეს, ხოლო ჩემი საუბარი არ გაუშვეს. დღევანდელი ტელევიზიები უმთავრეს დროს ძირითადად საზოგადოებისთვის მიუღებელ უხამს გადაცემებს უთმობენ.

**— სტრასბურგის სასამართლო საფრანგეთშია, ძირძველი დემოკრატიის ქვეყანაში, სადაც იელოველები სექტანტებად არიან მიჩნეული და ჩვენს შემთხვევაში რელიგიურ უმცირესობად რატომ მოიხსენია სასამართლომ?**

– საფრანგეთში მართლაც აკრძალულია მათი ქმედებები, ამაზე ოფიციალურად იწერებოდა. აკრძალულია იმიტომ, რომ ამ სექტის მიმდევრები ფანატიკოსები არიან, ოჯახებში მისვლით, ტელეფონით, ყველგან პროზელიტიზმს ეწევიან. მე ერთ კითხვას დავსვამ, ოჯახში რომ დაუკითხავად ვინმე შემოგივარდეს და ეცადოს, თავს მოგახვიოს ავადმყოფური აზრები, გაყოს ოჯახის წევრები, შელახოს ოჯახური სიწმინდე, რწმენა, გიქადაგოს, არ წახვიდე ეკლესიაში, არ გწამდეს ხატი, ჯვარი, მიცვალებულს პატივი არ მიაგო, ყველაფერს ხაზი გადაუსვათ, რაც საუკუნეებმა შემოგვინახა, როგორ მოიქცევით? აი, ამ უმსგავსოთა სექტის რეგისტრაცია გავაუქმეთ, ბატონ გურამ შარაძესთან ერთად, მაგრამ სისხლისმსმელმა სააკაშვილმა მოსვლისთანავე რეგისტრაციაში გაატარა.

**— სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ რას ელოდებით იელოველებისგან, კიდევ უფრო გააქტიურდებიან?**

– სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ ფრთები შეასხა ამ სულის წარმწყმედელ სექტას. ფაქტია, ისინი ახალი ენერგიით ეცდებიან, რაც შეიძლება მეტი ცხვარი მოსტაცონ მართლმადიდებლობას. მაგათგან შეწუხებული ხალხი მოდის და მეუბნებია, მამაო, რა გავაკეთოთ, მოსვენებას არ გვაძლევენ, ქუჩაში ვერ გაგვივლია, ძალად გვაჩეჩებენ წიგნებს, ტელეფონზე მოსვენება არ გვაქვს... ჩვენ მაშინ იმდენი შევძელით, გარკვეულწილად შევაჩერეთ მათი თავხედობა, აი, აქ უნდა მიგვეყვანა საქმე ბოლომდე, ისე, როგორც გააკეთეს ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა.

მაშინ საპატრიარქო მაყურებლის როლში გამოდიოდა, მაგრამ ბოლოს მათაც გაიგეს ამ სექტის მზაკვრული გეგმები მაშინ, როცა მიტოვებული ეკლესიებიდან ხატებისა და ჯვრების გამოტანა და დაწვა დაიწყეს, მერე კი თვით საპატრიარქოს მიუკაკუნეს და მთავრობასთან ერთად დღესაც ებრძვიან ეკლესიას. ახლა უკვე გვიან არის. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ერთგვარი მესიჯი იყო მათთვის. მე ყოველი მოვლენის მიმდინარეობას თვალს ვადევნებ, ვინ რას მოქმედებს ერის სასარგებლოდ თუ საზიანოდ. ჩემი მოსაზრებით ასე იკვეთება, სტრასბურგის სასამართლო ელოდებოდა საქართველოში საბედისწერო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, რაღაც ერთმანეთს დაემთხვა ორი მოვლენა, რა თქმა უნდა, იელოველთა სექტისთვის ეს სრული თავისუფლება იყო, მყარი ნიადაგი შექმნა მზაკვრული საქმეების კეთებისთვის. რაც წერია წმიდა წერილში, ზუსტად მიდის მოვლენები. უფრო მძაფრდება ბრძოლა მართლმადიდებელთა დასამხობად, აქ კი

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვაგზლის მოედანზე დევნილთა საცხოვრებელში ზარალს ითვლიან



თბილისში დევნილთა საცხოვრებელი დაიწვა. თევდორე მღვდლის ქუჩაზე ხანძარი შუადღისას საცხოვრებლის მესამე სართულზე გაჩნდა. დაიწვა 1000 კვ.მ ფართობი. თვითმხილველების თქმით, ხანძარი შესაძლოა ელექტროგაყვანილობიდან გაჩნდა, ისინი ასევე არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ხანძარი ხელოვნურად იყო გაჩენილი.

„ეს არის კარგი ადგილი, ადრე დაიწვა კიდევ ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, ამბობენ, რომ სპეციალურად დაიწვა და აქაც უპატრონო ხალხი ცხოვრობს და დაწვეს სპეციალურად, რომ გამოასახლონ ეს საწყალი ხალხი, მეც ლტოლვილი ვარ 21 წელია ვწვალობთ. დავიწვათ ამ ცეცხლში და დამთავრდება მაინც ჩვენი ამბავი“, – აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული.

შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ დიდუბის რაიონის გამგებელი და მაჟორიტარი დეპუტატი რომლებმაც დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება აღუთქვეს.

„უნდა გავერკვიოთ რამდენია ზარალი, ასევე რამდენია დაზარალებული ოჯახების რაოდენობა, დავითვლით ზარალს და მაქსიმალურად ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ამ ადამიანების, როგორც მინიმუმ, ჯერჯერობით დაბინავება“, – განაცხადა დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლება კრიმინალურ სამყაროსთან გარიგებულია“



„ნაციონალი“ დეპუტატის, ირმა ნადირაშვილის თქმით, „ხელისუფლების გარიგებამ კრიმინალური სამყაროსთან გამოიწვია ის, რომ ადამიანებს იტაცებენ ფულის გამოძალვის მიზნით“. ის აცხადებს, რომ ქვეყანა დაბრუნდა თამაზ თამაზაშვილის დროში, როდესაც ადამიანებს პანკისში იტაცებდნენ და ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ. მისივე თქმით, ასეთი გატაცებების შესახებ საზოგადოებას უკვე დიდი ხანია ინფორმაცია აღარ გაუგია.

უმრავლესობაში კი აცხადებენ, რომ უმცირესობას არ მოსწონს ხელისუფლების მიერ კრიმინალთან წარმატებული ბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის იოსებ გიორხელიძის გატაცების ფაქტზე 4 პიროვნება დააკავეს. შსს-ს ცნობით, დაკავებულებს შორის არიან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა (კუდ-ის) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) ყოფილი თანამშრომლები. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

მხოლოდ ერის კონსოლიდაცია გვიშველის, როგორმე უნდა მოვახერხოთ ისე, რომ ქართველი ერი ერთ მუშტად შევკრათ და ვიბრძოლოთ წინაპართა მონაპოვრის დასაცავად. აი, ამ გზებს ვეძებ პირადად მე.

**— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სასულიერო პირებთან თუ ისაუბრეთ, რას ამბობენ და თქვენ რას აპირებთ?**

– მართლაც მქონდა საუბრები მათთან, უბრალოდ ხმამაღლა ვერ აცხადებდნენ, როგორც ახლა. ისინი შეშფოთებული არიან სექტების ალვირახსნილობით და აღნიშნავენ, რომ თავიანთი ეპისკოპოსები არ აძლევენ უფლებას, ხმა აღიმაღლონ სექტებისა თუ უღირსი ხელისუფლების წინააღმდეგ. დროა და აუცილებელია, გზა გამოვნახოთ. საქართველოში 300 მეჩეთია და კიდევ აშენებენ, ამ დროს ჩვენს ძირძველ რეგიონში, აჭარაში, არის ადგილები, სადაც სასულიერო პირს კაბით არ უშვებენ. აბა, გავბედოთ და ვიქადაგოთ თურქეთში, ან სხვა ქვეყანაში მართლმადიდებლობა, რა დღე დაგვადგება. ჩვენ კი გამოვდივართ გულუხვი მასპინძლები, რაც მეტად გვაზარალებს. ჩვენს ქვეყანას მართავს აშშ-ის ელჩი საქართველოში. როგორც ვიცით, ელჩი მშვიდობის დამამყარებელი უნდა იყოს. ფაქტობრივად კი, ის ხელების ქნევით გველაპარაკება, უფრო კი მისი დირექტივებით გვატარებს, გვაიძულებს, ვაკეთოთ ის, რასაც თავად მოისურვებს. ამ დროს კი ჩვენ ხელიდან გვეცლება ყოველივე. მართლაც, მძიმე პერიოდი გვიდგას.

**„ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაფრთხილებ: ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ევროკავშირი მერაბიშვილსა და ახალაიას პოლიტპატიმრებად გამოაცხადებენ, მოსალოდნელი უბედურებები რომ თავიდან ავიცილოთ, სასწრაფოდ აღგავეთ მიწისაგან პირისა „ნაციონალური“ პარტიის ყველა წევრი, როდის იყო მგელი მგლობას იშლიდა“**

**— ჯარიმასთან დაკავშირებით ჩინოვნიკებიდან ვინმე თუ გამოგეხმაურათ, თქვენი ქმედებების გამო ჯარიმის გადახდა სახელმწიფოს უწევსო?**

– ჯერჯერობით არავინ გამომხმაურებია, ან რატომ უნდა გამომეხმაურონ, მე ვმოქმედებ დიდი სჯულის კანონით, იოტის ოდენაც კი არ გადამიხვევია, მე მტკივა ჩემი ერის, ჩემი მართლმადიდებლობის და მისი უერთგულესი დამცველი ვრჩები, ჩემს მრევლთან ერთად. ამ ხელისუფლებას იმდენი გრანტი აქვს მიღებული საზღვარგარეთიდან, რომელიც ხალხს არ მოხმარებია, კეთილი ინებონ, აიღონ ნაწილი და გადაუხადონ, რამეთუ ეს მთავრობაც წინა ხელისუფლების იდეების გამგრძელებელია, კეთილი ინებონ, თავისი გაფუჭებული საქმე გამოასწორონ, რადგანაც თავის დროზე ვერ მიხედეს ქვეყანას. შედეგიც წინ გვიდევს, დუმილის დრო არ არის, ყველა მოღალატე უნდა იმხილოს და თუ მომაკითხავენ და რაიმე ბრალს დამდებენ, მე მათ საკადრის პასუხს გავცემ.

კატეგორიულად ვითხოვ ფაქტობრივი ხელისუფლებისგან, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოებისგან, დროზე ჩამოაცილეთ ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებას მართლმადიდებლობის მტერი ბოკერია, როგორ შეიძლება 8 კაცის მკვლელი ტელევიზიით გამოდიოდეს და იქიდან აქეთ გვიკითხავდეს მორალს? თუ დროზე არ ალაგმეთ დიდ ზიანს მიაყენებს ისედაც განსაცდელში მყოფ სამშობლოს. უკვე დაიწყო ბოროტ ძალთა აქტიური ქმედებები, ალბათ, გაიგებდით, როგორ დაარბიეს წმინდა ბარბარეს ეკლესია, ეს ვანდალური ქმედება სწორედ იეღოველთა სექტისა და მათ დამცველთაგან მოდის, მართლაც საზარელი ფაქტია. დღეს, ბუნებრივია, ყველას გააკვირვებს მომხდარი, მე ვეკითხები ყოველ ქართველს, მათ შორის საპატრიარქოს წარმომადგენლებს, ჩვენ რომ დაგვარბიეს 2004 წლის 12 მარტს და ფიზიკურად გაგვისწორდნენ, რატომ დუმდით?



**„კატეგორიულად ვითხოვ ფაქტობრივი ხელისუფლებისგან, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოებისგან, დროზე ჩამოაცილეთ ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებას მართლმადიდებლობის მტერი ბოკერია, როგორ შეიძლება 8 კაცის მკვლელი ტელევიზიით გამოდიოდეს და იქიდან აქეთ გვიკითხავდეს მორალს?“**

ეს ეკლესია საქართველოსი არ არის? მაშინ ხმა რომ აღგემაღლებინათ, ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდით. არ იფიქროთ, ვინმეს ნიშნს ვუგებდე, უბრალოდ, გული მტკივა იმის გამო, ჩემი არ სჯეროდათ, მათ ვაფრთხილებდი, ბოლოს საპატრიარქოს მიადგებოდნენ, როგორც დღეს. ჩვენც ხომ იეღოველთა დამცველებმა დაგვარბიეს, აბა, ვინ იყო სააკაშვილის ფაშისტური ბანდა.

ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაფრთხილებ: ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ევროკავშირი მერაბიშვილსა და ახალაიას პოლიტპატიმრებად გამოაცხადებს, მოსალოდნელი უბედურებები რომ თავიდან ავიცილოთ, სასწრაფოდ აღგავეთ მიწისაგან პირისა „ნაციონალური“ პარტიის ყველა წევრი, როდის იყო, მგელი მგლობას იშლიდა. ეს სისხლისმღვრელები მგლებზე უარესები არიან და მათი იზოლაცია აუცილებლობას წარმოადგენს საზოგადოებისგან, რამეთუ მეტად საშიში და მზაკვარი ბოროტმოქმედები არიან, მთელი სიღრმით გათვალეთ მოსალოდნელი უბედურება და პირად ანგარიშსწორებას ნუ გადააყოლებთ ქვეყნის ინტერესებს.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**



CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რა მოხდა მინისტრ თამარ სანიკიძის პარლამენტში გამოსვლის შემდეგ განათლების სამინისტროში?

**13 ოქტომბერს თბილისის პარლამენტში თამარ სანიკიძე განათლების კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის წევრები სანიკიძეს პარლამენტის შესასვლელთან ტრანსპარანტებით დახვდნენ და ნეპოტიზმში დადანაშაულეს. „უხელფასობას — არა! ნეპოტიზმს — არა! ცენზურას — არა! სანიკიძე, წადი! გადადექი! ცენზურის დედამთავარი ხარ, გადადექი!“.**

**ესაა ის, რაც მაყურებელმა საინფორმაციო გადაცემებში იხილა და ახლა გავიგოთ ის ამბები, რაც ობიექტივის მიღმა დატრიალდა ამ დღეს.**

**„ალიას“ ესაუბრება „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი დავით ფერაძე:**

– ჩემთვის ცნობილი რომ გახდა, თამარ სანიკიძის პარლამენტში კომიტეტის სხდომაზე მისვლის შესახებ, ავიკარი გუდა-ნაბადი და ჩემი ლოზუნგებით მინისტრს დავხვდი პარლამენტთან. მანამდე ხომ სულ მარტო ვატარებდი აქციებს და ამ შემთხვევაში ჩემ გვერდით დადგა პედაგოგი, რომელიც ჩამოვიდა წალენჯიხიდან, ყოფილი რესურსცენტრის უფროსი და ისტორიის მასწავლებელი და ეს ადამიანი შემომიერთდა, როცა აქ, თბილისში, ჩემთვის სოლიდარობის გამოცხადებისა აქაურ პედაგოგებს ეშინიათ, იმდენად დიდი მუქარის ქვეშ ჰყავთ სამინისტროს წარმომადგენლებს. ეს ჩვენი ძვირფასი მინისტრი რომ გადმოვიდა მანქანიდან, ფერი დაკარგა ჩვენს დანახვაზე. სხვათა შორის, სანიკიძეს უკან ორი ადამიანი მოჰყვა, ერთი იყო გიორგი შარვაშიძე, რომელსაც, კულუარული ინფორმაციით, უპირებენ სანიკიძის ნაცვლად დანიშვნას და თამარს ახლდა კიდევ აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

**— თქვენ რომ მეგაფონის საშუალებით უყვიროდით თამარ სანიკიძეს, გადადექიო, მის მხლებლებს რა რეაქცია ჰქონდათ?**

– რა ვიცი, შარვაშიძე რატომღაც ღიმილით მოდიოდა და კარგ განწყობაზე კი ჩანდა. მოკლედ, სანიკიძე შევიდა სხდომაზე და იქ კილურაძემ „გადაუარა“. სანიკიძემ მას არაფერი უპასუხა, სამაგიეროდ, უპასუხა მეცნიერების შეკითხვებს, რომ თურმე მას მზად აქვს კონცეფცია, ასევე თურმე, მას მზად აქვს ათწლიანი გეგმაც კი მეცნიერების განვითარების. სინამდვილეში ესაა სისულელე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს არაფერი ეს გამზადებული არ გააჩნია და წარმოდგენაც არ აქვს, ამაზე საერთოდ. რას ამბობ, ჯერ სკოლები ხომ დაალაგა და დააწყო, და ახლა მეცნიერებას ააყვავებს...

**— რატომ ხართ ასეთი კატეგორიული?**

– თუ აქვს, გვაჩვენოს, საჯარო სივრცეში გამოაჩინოს, ან ჟურნალისტებს აჩვენოს, ან პედაგოგებსა და მეცნიერებს, რა კონცეფცია აქვს, რა ხედვები აქვს? გეტყვით, რომ ეს ყველაფერი ბუნებაში არ არსებობს. ერთადერთი, რაც ბუნებაში არსებობს, ესაა პედაგოგების პროფესიული განვითარების სქემა, რომელიც, სხვათა შორის, შაშკინის დროს იყო შემუშავებული და რომელიც ამათ დაამძიმეს თავისი ცვლილებებით და ესეც, ეტყობა, თავისთვის აქვთ, რადგანაც დაბეჭდილი სახით საჯარო სივრცეში არ დევს და პედაგოგები ამ სქემასაც არ იცნობენ. ამიტომ ვამბობ: დოკუმენტურად მას დადასტურებული არაფერი არ აქვს. მეცნიერებს იმედი ჰქონდათ, რომ მეტი დაფინანსება მიეღოთ და, როგორც ჩანს, ეს 2015 წლისათვისაც არ მოხდება და მინისტრმა ეს იმედი წყალში ჩააგდო, როცა განაცხადა, მეცნიერების დაფინანსება არ იქნებაო. მაგრამ ტრიბუნასთან ამაზე რომ საუბრობდა, ეს ქალი ეკლებზე იჯდა, რადგანაც მას ჰქონდა პრობლემა, რომ ისე დაეტოვებინა პარლამენტის ტერიტორია, პედაგოგებს არ შეგვხვედროდა.

**— კი, მაგრამ ასე შეეშინდა თქვენი?**

– მე რეალურ სიტუაციას გიყვებით. როცა შესვლისას გამიარა, ერთი მეტრი გვაშორებდა. რაც ტრანსპარანტებზე გვეწერა, იმაზე რა უნდა ეთქვა და რით უნდა გაემართლებინა თავი? თუმცა მან შემდეგ ჟურნალისტებთან გამცა პასუხი, როცა სკოლაში არსებულ ცენზურაზე ილაპარაკა: ჩვენო უხამს მასალებს ვბლოკავთო, ამ დროს დანამდვილებით ვიცი, რომ სკოლებში მე ვარ დაბლოკილი და მაინტერესებს, დავითია უხამსი სიტყვა, თუ ფერაძე? ვერ გავიგე! მაგრამ წელან შიშზე დავიწყე ლაპარაკი და ნახეთ, რა ხდება ამის შემდეგ: მეცნიერებისა და განათლების მინისტრი ქალი გაიპარა პარლამენტის უკანა შესასვლელიდან...

**— რა იცით, თქვენ ეს დაინახეთ?**

– სანიკიძემ, როგორც ჩანს, დაიბარა თავისი პირველი მოადგილე, ქეთევან ნატრიაშვილი და ეს ნატრიაშვილი ყელგამოწვდილი ეხვეწებოდა პარლამენტის შენობის გარე პერიმეტრის დაცვას, რომ განათლების მინისტრის მანქანა შეეუშვით პარლამენტის შენობაშიო. დაცვა გაგიჟდა, რადგანაც შიგნით შედის მხოლოდ პრემიერისა და პრეზიდენტის მანქანები და როგორ შეიძლება მინისტრის მანქანის შესვლა?



**— თქვენ ამ დროს სად დგახართ?**

– მე სხვა შესასვლელთან „ვუსადკავებდი“ და ეს ინფორმაცია მომდიოდა ყოველ წამს. როცა ნატრიაშვილს ეს თხოვნა არ შეუსრულეს, ამის შემდეგ, დაცვა და სანიკიძის მოადგილე შეთანხმდნენ ერთ რამეზე, რომ სანიკიძის მანქანა უნდა შემოსულიყო პირველი სკოლის მხრიდან, ანუ პარლამენტში გვერდითა შესასვლელი რომაა, იქიდან. მართლაც, მოვიდა და იქ დადგა სამინისტროს მძლოლიანი მანქანა და ჩვენ ვუყურებდით, იმდენად სასაცილოდ გამოიპარა მინისტრი სანიკიძე პარლამენტის ეზოდან, ისეთი შიშით, რომ ვერ აგიწერთ. პირველი სკოლის მასწავლებლები იცინოდნენ და ჩვენ გვეკითხებოდნენ, რა დაემართა ამ ქალს, სანიკიძეს რა უთხრეს ასეთი პარლამენტში, რომ ასე გამოიპარაო. მერე, ჩვენი ინფორმაციით, სანიკიძე გავარდნილა განათლების სამინისტროში, იქაც ჩემი ინფორმატორები მყავს. იმათ მითხრეს, რომ შემოვარდა შენობაშიო, ჩვენ არ ვიცოდით, რა მოხდაო და ვხედავთ, სანიკიძე უკანა მხრიდან კიბეზე როგორ არბოდა წივილ-კივილით და სიტყვები იყო: „ეს გარეწრები“, „ნაძირალები“, „ამას რას მიკეთებენო“.

**— და ვისი მისამართით იყო ეს სიტყვები ნათქვამი?**

– ვერ გეტყვით, ჩემი მისამართით იყო ეს სიტყვები თუ კილურაძის, არ ვიცი. მოკლედ, შევარდა თურმე თამარ სანიკიძე კაბინეტში და იმ წამსვე დაიბარა ყველა დეპარტამენტისა და სამმართველოს უფროსი თათბირზე, ოღონდ, სამწუხაროდ, იმ თათბირიდან მე არ მიმიღია ინფორმაცია, რაზე მიდიოდა მსჯელობა, თუმცა ამ დღეებში მაგასაც გავიგებ. აი, ასეთ მარაზმულ სიტუაციას შევესწარით. ისე, ეგ ქალი ვანო კილურაძემაც ძალიან გაამწარა, რომ იტყვიან, საქვეყნოდ „გადაუარა“, ამ დროს ბატონი ვანო დარბაისელი კაცია, მცოდნე და მას როგორ შეედავებოდა სანიკიძე, რომელსაც, რასაც ვუყურებ, დასტურდება, რომ ორუცნობიანი კი არა, ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნაც არ შეუძლია და, რომ დილეტანტია ყველა მიმართულებით.

**— რას გულისხმობთ?**

– რას და კომიტეტის სხდომაზე ეუბნებიან, მოგვახსენეთ, განათლების სამინისტროს შესახებ ანგარიში ჩაგვაბარეთო და პასუხობს, მე არ ვიცოდი, დღის წესრიგი რა იყოო და შემთხვევით მოვედიო. წარმოგიდგენიათ, კაცო? მინისტრი ქალია და სად მივიდა, არ იცის! ეს ძალიან სასაცილო იქნებოდა, ასეთ უბედურ დღეში რომ არ ვიყოთ მასწავლებლები. ამიტომ, პირობას ვდებ, რომ სანამ ეს ქალი მინისტრი იქნება, არ გავახარებ!

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## წმინდა ბარბარეს მონასტერი გაძარცვეს



31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა ბარბარეს მონასტერი გაძარცვეს. სასულიერო პირის განცხადებით, წაღებულია თანხა, თავად ტაძარს კი ზიანი აქვს მიყენებული.

შს სამინისტროს განცხადებით, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით არის აღძრული, რაც ქურდობას გულისხმობს.

როგორც მრევლმა განაცხადა, დილით მისულებს მათ ტაძარი დარბეული დახვდათ, სახარება – გადაშლილი, სიწმინდეები – გადმოყრილი, ფარდები – ჩამოყრილი, საკურთხეველი – დაზიანებული, ასევე გატეხილია ეკლესიის კარი. მათივე თქმით, ტაძარს დაცვა არ ჰყავს და მსგავს ვანდალიზმს უკვე მესამედ აქვს ადგილი.

წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ისემ ბარბარეს ეკლესიაში მომხდარ ფაქტს ვანდალიზმი უწოდა.

მისი თქმით, ტაძრიდან ღირებული არაფერია წაღებული და ეს დარბევა ტაძრის შეურაცხყოფის მიზნით განხორციელდა.

„იქ ისეთი რამეა გაკეთებული, სიტყვით ვერ აღგიწერთ, ეს საშინელი დარბევაა. არც კი ვიცი, რა ვუწოდო. ქურდობა იმდენად არ განიხილება, რამდენადაც ხატის წაბილწვა. ქვეყანა ფეხზე უნდა დადგეს: საქართველოში ქართულ ეკლესიას ასე შეურაცხყოფენ, დედა ეკლესია შეგვიგინეს! აქ ისეთი რამეა გაკეთებული, სიტყვით ვერ აგიხსნით!“, – განაცხადა მამაომ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრემიერს კანონი არ დაურღვევია



ყოფილ მთავარ პროკურორ გია მეფარიშვილის შეფასებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნები არ დაურღვევია. საუბარია ღარიბაშვილის მიერ გიორხელიძის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ ბრალდებებს შეიცავდა და პარტიის აღშფოთების მიზეზად იქცა.

„მას აქვს საკუთარი მოსაზრება, – რამდენად კორექტული და გამართული, ეს სხვა თემაა, შეფასების საკითხია, მაგრამ კანონი არ დარღვეულა. ის საუბრობდა არა როგორც პრემიერ-მინისტრი, არამედ როგორც კერძო პირი, თქვა, „ჩემი აზრით“. დანარჩენი პოლიტიკური შეფასების საკითხია. მეორე მხრივ, როდესაც პრემიერი ამას ამბობდა, ალბათ, გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ უნდა დაეზუსტებინა. ეთიკური და სამართლებრივი კატეგორიები ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. მე ასეთ კომენტარს არ გავაკეთებდი, მან გააკეთა, მაგრამ კანონი არ დაურღვევია. მას უფლება აქვს, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გამომძიებლიდან მოდის, კანონი აძლევს ამის უფლებას და ვერ მიედავებით. ყველას გვაქვს ჩვენი აზრი, მისაღებია თუ არა – ეს უკვე მორალის საკითხია“, – განაცხადა მეფარიშვილმა. (ფრონტნიუსი)



# ღარიბაშვილს კანცელარიაში შეტანილ ექსპერტების კონცეფციას უმალავენ?

**„საქართველოში მილიონი ქართველი რომ დაბრუნდეს, ხომ დაიღუპა ეს ხელისუფლება?! ქვეყანას, სადაც ტოტალური უმუშევრობაა, არ შეუძლია, მიიღოს ერთდროულად მილიონი ადამიანი. აქ უმუშევრობაა, რა უნდა გააკეთონ?! იმ ფონზე, როცა ეკონომიკა არ ვითარდება, ამხელა მასის მიღება საქართველოს, უბრალოდ, არ შეუძლია. ჩვენ ვართ ტოტალური უმუშევრობის ქვეყანა. საქართველოს მოსახლეობის 72% ჯანსაღი მუშახელისა ხელფასს არ იღებს და კიდევ მილიონი რომ დაემატოს, ეს იქნება სრული კატასტროფა! ემიგრანტების დაბრუნების პროგრამა დევს პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში, მაგრამ გაუგებარი ბიუროკრატიული ბარიერების გამო, მსვლელობა არ ეძლევა. საჭიროა მიზანმიმართული პოლიტიკა“, — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე დიასპორის კონფერენციაზე გაჟღერებულ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა ქართველი ემიგრანტების დაბრუნება და მათი ქართულ ეკონომიკაში ჩართვა.**

„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, **დემურ გიორხელიძე** ესაუბრა:

**— ბატონო დემურ, ცარიელ ადგილას მილიონი ადამიანის ჩამოყვანა მართლაც პრობლემებს შექმნის. ექსპერტები რას სთავაზობთ ხელისუფლებას სანაცვლოდ, რა წერია თქვენს კონცეფციაში?**

– კონცეფციაში რამდენიმე მთავარ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება – საუბარია, რომ იმ თანამოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ, გარკვეული კაპიტალი დააგროვეს და სურთ ინვესტიციები განახორციელონ საქართველოში, მათ სჭირდებათ კაპიტალის დაცულობა. ასევე, სჭირდებათ საკანონმდებლო ბაზა. კონცეფციაში ასევე საუბარია ხელისუფლების მხარდაჭერაზე, რომ საკუთრების უფლება იყოს დაცული. პროგრამის თანახმად, გეგმაზომიერად, სამუშაო ადგილების შექმნის გზით უნდა მოხდეს ამ ადამიანების უკან დაბრუნება. სხვანაირად შეუძლებელია რაიმე შედეგის მიღება. ეს ყველაფერი რომ არ მოგვარდეს, ქვეყანა ტოტალურ უმუშევრობაშია ჩაფლული და ახლა რომ ჩვენი ემიგრანტები უკან მობრუნდნენ, ქვეყანას ისეთი პრობლემები შეექმნება, რომლიდანაც დიდხანს ვერ გამოვა. კონცეფცია იმ ადამიანების სტიმულირებას ითვალისწინებს, რომლებსაც უცხოეთში გარკვეული კაპიტალი აქვთ. ასეთი ადამიანების მიერ დაგროვილი კაპიტალი, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ, არის 89 მილიარდი.

**— ვინ შეიმუშავა ეს კონცეფცია კონკრეტულად?**

– ამაზე, თავის მხრივ, დამოუკიდებლად მუშაობდა ხარკოვში მცხოვრები ჩვენი მოქალაქე, მერაბ სტურუა. ის დიდი ხანია ამ თემაზე მუშაობს. მას ხელისუფლებაშიც კარგად იცნობენ. 2 წლის წინათ, როცა ჩვენ „ქართულ ოცნებაში“ დავიწყეთ ქვეყნის განვითარების კონცეფციის შემუშავება, მერაბ სტურუა დაგვიკავშირდა. მას უკვე ჰქონდა შემუშავებული ემიგრანტების ქვეყანაში დაბრუნების კონცეფცია, რაც გარკვეულწილად მივაბით ჩვენ მიერ შემუშავებულ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციას. ემიგრანტების საქართველოში დაბრუნება ერთიან ეკონომიკურ კონტექსტში მოვიაზრეთ, რადგან სხვანაირად მათ დაბრუნებაზე საუბარი არასერიოზულია. დღეს, 2.5-3 მილიარდი დოლარი ემიგრანტებს თავისუფლად შეუძლიათ ჩადონ საქართველოში. თუმცა, ამ მიმართულებით რთული მდგომარეობაა. საქართველოში ინვესტიციის დაუცველობაა. მათ უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ ადამიანებს, რომლებმაც გარკვეული ბიზნესებიააწყვეს და წარმატებას მიაღწიეს, გაუჩნდათ კაპიტალი, ასე ხელაღებით ვერ გადაყრიან, თუნდაც საკუთარ ქვეყანაში. მაგრამ იქ, სადაც არ არის კონკურენცია, ამ მუშაობს საბაზრო მექანიზმები და ყველაფერს მთავრობა და მაღალჩინოსნები წყვეტენ, თავისუფალი ბიზნესის ადგილი არ არის და ამ ადამიანებს ეშინიათ. ამიტომ ითხოვენ საკანონმდებლო უზრუნველყოფას. ნელ-ნელა უნდა დაუბრუნდნენ ემიგრანტები საქართველოში, მაგრამ ამას მარტო მოწოდებები ვერ ჰყოფნის.

**— მოწოდებებს მიხეილ სააკაშვილიც აკეთებდა, ბევრმა დაუჯერა კიდეც, საზღვარგარეთაც მიატოვეს საქმე, მერე აქაც არაფერი გამოუვიდათ და დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებული და გაბრიყვებული. რა გარანტია აქვთ, რომ იგივე არ მოხდება ამ შემთხვევაშიც?**

– საკითხს სწორად სვამთ, ამიტომაც ვამბობ, რომ მარტო მოწოდებები ვერ უშველის საქმეს. ამას სჭირდება საკანონმდებლო ნორმები, რაღაც კანონქვემდებარე აქტი უნდა გამოიცეს, რომელიც მთავრობისთვის სავალდებულო გახდება. ასეთ შემთხვევაში არ გაბრიყვდებიან ეს ადამიანები და საკუთარ ფულს რისკის ქვეშ არ დააყენებენ.

**— რა ეტაპზეა კონცეფციის საკითხი?**

– ქვეყნის სტრატეგია 2 წლის წინათ შემუშავდა, რომელიც მთავრობამ ჯერ გვერდზე გადადო, შემდეგ გარკვეული მოდერნიზაცია გაუკეთდა. მე როგორც ვიცი, კონცეფცია პრემიერ-მინისტრის კანცელარიაშია, რაღაც მოძრაობა არის მის ირგვლივ, მაგრამ თვეები გადის და რამე რეალური ძვრა არ არის. საერთოდ, წერილების საკითხი არის კატასტროფა სამთავრობო სტრუქტურებში, არავინ წერილებს არ კითხულობს და პასუხებს არ იძლევა, მე ვფიქრობ, რომ მთავრობის წევრები უზარმაზარ ინფორმაციას უკეთებენ იგნორირებას და მაქვს ეჭვი, რომ ისინი არც უცხოელი ინვესტორების წერილებს კითხულობენ. მე რამდენადაც ვიცი, უწყებებში ასეთი პოზიციაა – ბევრი წერილია და ამისთვის მინისტრი დროს როგორ დაკარგავსო, ეს იმდენად კურიოზია, კომენტარიც არ მინდა გავაკეთო.



**P.S. რატომ არ ეძლევა მსვლელობა მერაბ სტურუას მიერ მომზადებულ ემიგრანტების საქართველოში დაბრუნების კონცეფციას? ამ კითხვით მთავრობის კანცელარიას მივმართეთ, სადაც განგვიცხადეს: „ძალიან ბევრი წერილია შესული და გვიჭირს პასუხის გაცემა“.**

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „რუსეთი ევროკავშირს კვლავ პარტნიორად განიხილავს“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, რუსეთი ევროკავშირს კვლავ პარტნიორად განიხილავს და მზად არის, თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე მოლაპარაკებები აწარმოოს.

„ახლა საჭიროა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც პასუხს გასცემს შეკითხვას – ვართ თუ არა სტრატეგიული პარტნიორები, თუ მაინც გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად დავრჩებით“, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

სანქციების პაკეტის ძალაში დატოვებაზე ან გაუქმებაზე ევროკავშირი ოქტომბრის ბოლოს კიდევ ერთხელ იმსჯელებს. (ნიუპოსტი)

## სასტიკი ყაჩაღობა თბილისში — მამაკაცს უთოთი დაზიანებები მიაყენეს




თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ყაჩაღობა მოხდა. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მამაკაცი თავდამსხმელებმა სასტიკად აწამეს. შემთხვევა კვირას მოხდა, თუმცა ოჯახი მომხდარს აქამდე არ ახმაურებდა.

მეზობლების ინფორმაციით, ნიღბიანი თავდამსხმელები შეიარაღებული იყვნენ. დაზარალებულის ცოლის თქმით, მის მეუღლეს თავში იარაღის კონდახი ჩაარტყეს და ცხელი უთოთი დაზიანებები მიაყენეს.

ოჯახი ძარცვას უარყოფს, თუმცა მეზობლების ცნობით, ყაჩაღებმა სახლიდან ძვირფასეულობა წაიღეს.

აღნიშნულ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ. საქმე აღძრულია ყაჩაღობის მუხლით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბათუმის პორტში ამერიკული სამხედრო ხომალდი იმყოფება



ბათუმის პორტში 5-დღიანი ვიზიტით ამერიკული სამხედრო ხომალდი „მაუნთ უიტნი“ იმყოფება. მისი ეკიპაჟის წევრებთან ერთად დაგეგმილია ანტიტერორისტული და ხანძარსაწინააღმდეგო წვრთნები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურისა და ბათუმის სამაშველო და სახანძრო სამსახურების თანამშრომლები.

სამხედრო გემის ეკიპაჟის წევრებს შორისაა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ლეიტენანტი, თბილისში დაბადებული გივი ტიბანელი. 29 წლის ოფიცერმა ჟურნალისტებს უამბო, რომ საქართველოდან 10 წლის ასაკში გაემგზავრა და მას შემდეგ სან-ფრანცისკოში ცხოვრობდა. გივი ტიბანელი 4 წელია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში მსახურობს.

„ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე საქართველოში ამერიკული ხომალდით ჩამოვიდოდი“, – განაცხადა ტიბანელმა.

„მაუნთ უითნი აქ ჩვენი კავშირების გაძლიერებისა და მტკიცე პარტნიორობის მხარდასაჭერად იმყოფება. მოუთმენლად ველით ვიზიტის გაგრძელებას“, – განაცხადა საზღვაო ხომალდის კაპიტანმა მარკ კოლომბომ.

აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ „მაუნთ უიტნის“ ვიზიტი ადასტურებს ვაშინგტონის ძალისხმევას, გააღრმაოს ურთიერთობა ნატოელ მოკავშირეებსა და საქართველოს მსგავს პარტნიორებთან შავი ზღვის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისთვის. (ნიუპოსტი)

# თამარ სანიკიძეს განათლება ტოტალიტარიზმისკენ მიჰყავს?

**ის ალიაქოთი, რაც ზოგადი განათლების კანონში ცვლილებების შეტანის კანონპროექტს მოჰყვა, დიდი ხანია, ამ სისტემაში არ ყოფილა: ძალს განათლების სამინისტრო და ძალს — პარლამენტი, ექსპერტები, მასწავლებლები, დირექტორები, სამეურვეო საბჭოები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ა, ბატონო: განათლების არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს საგანმანათლებლო ალიანსის“ ხელმძღვანელი დავით ლაგვილავა საქართველოს პარლამენტს თხოვნით მიმართავს, რომ თამარ სანიკიძის ტოტალიტარიზმისკენ მიმართულ საგანმანათლებლო პოლიტიკას მხარი არ დაუჭირონ და არ დაუშვან, „ზოგადი განათლების“ კანონში განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი ინიციატივების დამტკიცება.**

**რა ხდება? დირექტორების მიჯირყვნის შემდეგ რაში მდგომარეობს ახლა უკვე მასწავლებლების მიჯირყვნა?**

**„ალიას“ დავით ლაგვილავა ესაუბრა:**

– თავიდანვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ვარ 51-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, მაგრამ არ ვიბრძვი სკოლის დირექტორობისთვის და რასაც ვაკეთებ, არ მინდა, ვინმემ ჩამთვალოს გამოცდაზე ჩაჭრილის პოზიციიდან მოლაპარაკედ. ვარ ის დირექტორი, რომელსაც სასამართლომ დამიდასტურა უკანონოდ განთავისუფლება და ამით საზოგადოებას ვაჩვენე, რომ მართალი ვიყავი. 22 წელი ვიყავი სკოლის დირექტორი და არ ვთვლი, რომ სიცოცხლის ბოლომდე სწორედ დირექტორობაა ჩემი მოწოდება. ამ თანამდებობაზე ამოვწურე ჩემი რესურსი, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის საუკეთესო სკოლის დირექტორად მაღიარა სამინისტრომ და დღეს მინდა, რომ სახელმწიფო დირექტორებს უსამართლოდ არ მოექცეს. სამწუხაროდ, დღევანდელი განათლების სამინისტროს მხრიდან ისეთი ნაბიჯები იდგმება, რომ გაოცებული ვარ: ქალბატონი სანიკიძე ცდილობს, კანონში შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რომელიც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მას უფლებას მისცემს, 3 წლის ვადით შეუჩეროს სკოლის დირექტორს უფლებამოსილება.

**— კარგად მომიყევით კანონის ცვლილების არსი.**

– მოკლედ, თუ მოხდა კანონდარღვევა და სამეურვეო საბჭო, ან სამინისტრო გაათავისუფლებს სკოლის დირექტორს, ამ შემთხვევაში დირექტორს უფლებამოსილება უჩერდება და ეკრძალება ნებისმიერი სკოლის დირექციაში მუშაობა. ანუ მას არ შეუძლია იმუშაოს დირექტორად, მოადგილედ, ან ბუღალტრად. ეს ზოგადად, ჩემი აზრით, დისკრიმინაციული კანონია და ასე არ შეიძლება, რადგანაც, თუ სკოლის დირექტორი სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის, ამას ისედაც არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი და რა შუაშია დირექტორობის შეჩერება?

**— და სამინისტროს რა არგუმენტი აქვს საამისოდ, რატომაო?**

– ჩემს შემთხვევას მოვიყვან მაგალითად: აუდიტმა აღმომიჩინა დარღვევა, მე ეს გავასაჩივრე და დავამტკიცე ჩემი სიმართლე, მაგრამ პროცესი წელიწადზე მეტი გაგრძელდა. კი, მოვიგე, მაგრამ დრო ხომ გამიცდა? ამ დროს უკვე შეიძლება ჩატარებული იყოს დირექტორთა არჩევნები, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა და ადამიანს შეიძლება 3 წელი კი არა, 6 წელი მოუწიოს სისტემის გარეთ ყოფნა.

**— და რატომ 3 წელი? და რატომ ან 1, ან 3 წელი? ვინ განსაზღვრა ეს დრო და რა მიზეზით?**

– ეგ მეც ვერ გავიგე. გარდა ამისა, კანონმდებლობის დარღვევად ითვლება საქმის წარმოების წესში გარკვეული დარღვევაც. ჩემს დასკვნაში ეწერა, რომ ბუღალტრული დოკუმენტები უკლებლივ კი იყო საქაღალდეში ჩაწყობილი, მაგრამ კანონის შესაბამისად არ იყო აკინძული და ვარაუდი გაჩნდა, რომ გაფანტული იყო დოკუმენტაცია. ეს ხარვეზი აუდიტის მუშაობის დროსვე გამოსწორდა და აიკინძა. ანუ, თუ დაზარალებული არავინაა, ამის გამო დირექტორს 3 წლით უკრძალავთ დირექტორს პროფესიას? სამინისტრო ამას ხსნის, რომ ეს პრევენციაა, რომ სკოლის დირექტორებმა კარგად იმუშაონ და არ დაარღვიონ კანონმდებლობაო, ჩემი აზრით კი, ეს იმის პრევენციაა, რომ სკოლის დირექტორები დააშინონ, როგორც კი იქნება ჩემი პოლიტიკის მიმართ დაუმორჩილებელი, საერთოდ ჩამოგაშორებ პროფესიასო. ანუ, სამინისტრო ამით თავიდან იცილებს იმ პირებს, ვინც მისთვის არასასურველია. რაც შეეხება მასწავლებლებს, უარესს გეტყვით: მასწავლებლების შემთხვევაში საერთოდ პროფესიის უფლების ჩამორთმევაზეა საუბარი, ისევ და ისევ, თუ დაირღვა კანონმდებლობა და ამაში შედის გაკვეთილებზე დაგვიანება, ან ეთიკის კოდექსის დარღვევა. ეს სანიკიძის მხრიდან სკოლის გაფრთხილება და თითის დაქნევაა, ვინც ჭკვიანად არ იქნებითო, ჩამოგაშორებთ სკოლასო. რამდენადაც ცნობილია, მინისტრის მოადგილე ლიკა გიგაური თავად იყო სამი წლის წინათ დირექტორი და მის სკოლაშიც მოხდა კანონდარღვევა: 2011 წელს 165-ე სკოლის დირექტორი გიგაური განთავისუფლდა გენინსპექციის დასკვნის საფუძველზე და სადაც, გარდა ფინანსური დარღვევებისა, იყო ასევე ფაქტი: გიგაურმა ატესტატი მისცა მოსწავლეს, რომელიც მანამდე სწავლობდა სვანეთის ერთ სოფელში, ჰქონდა იმ სოფლიდან ჩამოტანილი ნიშნები და ისე, რომ ამ ბავშვს არ უვლია სკოლაში, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით ატესტატი გაიცა და როგორც დასკვნაში წერია, ეს სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავდაო, მაგრამ მისი სამართლიანობა არავის დაუდასტურებია, არც აუდიტორულ სამსახურს და არც სასამართლოს. ამის შემდეგ ეს ადამიანი 2012 წელს ხდება სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ცოტა ხანში კი – სანიკიძის მოადგილე.



მაინტერესებს, ეს ადამიანი, როცა საკუთარი სიმართლე არ აქვს დამტკიცებული და ამ მასალის მიხედვით კანონდამრღვევად ითვლება, მიიჩნევს, რომ სკოლის დირექტორებს 3 წლის ვადით უნდა შეეზღუდოთ დირექტორობის ვადა?

**— როცა თქვენ ჩამოგაშორეს დირექტორობას, ცნობილია, რომ 51-ე სკოლაში თქვენს მოადგილედ მუშაობდა თამარ სანიკიძის მამიდა და მან ხომ იცოდა სიმართლე? რატომ არ შეგაწიათ სამინისტროში სიტყვა?**

– მართალია, მე რომ მივედი 2005 წელს ამ სკოლაში, იქ დამხვდა დიანა სანიკიძეც და დღევანდელი სკოლის დირექტორი მანანა თურქაძეც. სულ სამი მოადგილე მყავდა და ამათგან ეს ორიც ჩემი მოადგილე იყო. შემდეგ შტატები უნდა შემცირებულიყო და ეს ადამიანები არჩევანის წინ დადგნენ, ერთ-ერთი ან მოადგილედ უნდა დარჩენილიყო და ან პედაგოგად გადასულიყო. სანიკიძემ დაწერა განცხადება და გადადგა. ჩემი ამბების დროს თამარ სანიკიძე მინისტრის მოადგილე და გადაწყვეტილების მიმღები იყო და ქალბატონ დიანა სანიკიძეს შეეძლო, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან რეალური სურათი მიეტანა, იმ დროს, როცა სამინისტრო უარს აცხადებდა დირექტორთან და სამეურვეო საბჭოსთან შეხვედრაზე, მაგრამ ასე არ მოხდა. ეტყობა, დიანა მაინც განაწყენებული იყო. სანიკიძე უფრო კომფორტულად იქნებოდა მანანა თურქაძის დირექტორობის პირობებში და არ გამოვრიცხავ, რომ დიანა სანიკიძემ მისცა გარანტიები თურქაძეს, რომ ის გაივლიდა გასაუბრებისა და ტესტირების ეტაპებს და იმის გარანტიასაც, რომ კვლავ 51-ე სკოლაში იქნებოდა თურქაძე დირექტორად წარდგენილი.

**— მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენს კანონპროექტს და განათლების კომიტეტის პოზიციას..**

– ძალიან მნიშვნელოვანია ხმალაძისა და ასევე სხვა დეპუტატების და, რაც მთავარია, ვანო კილურაძის პოზიცია, რომელიც ამ ცვლილებებში ხედავს ნეპოტიზმისა და კორუფციის ნიშნებსაც და ამაში ვეთანხმები თავმჯდომარეს. ჩემი აზრით, სამინისტრომ არ უნდა იჩქაროს, გამოცხადდეს მორატორიუმი და ამ პერიოდში სქემის განხილვა მოხდეს. რეგიონებში საერთოდ აზრზე არ არიან მასწავლებლები, რა სქემაზეა ლაპარაკი. ჩვენ მომხრე ვართ, რომ მასწავლებლებს პირობები გაუუმჯობესდეთ, მაგრამ ვშიშობ, ამ სიჩქარეში უარესი არ მივიღოთ და მინდა მჯეროდეს, რომ პარლამენტი არ დაუშვებს ამას. ვფიქრობთ, რომ ჯერ მოხდეს პილოტირება და მერე დაინერგოს ეს ცვლილებები.

**ამ ინტერვიუს შემდეგ საკმაოდ ბევრი კითხვა დაგროვდა და ამიტომ გადავწყვიტეთ განათლების სამინისტროსთან დაკავშირება, მაგრამ — ამაოდ. სამაგიეროდ, დავუკავშირდით 51-ე საჯარო სკოლის დირექტორს მანანა თურქაძეს, რომელსაც ლაგვილავას მოსაზრებას ვაცნობთ დირექტორად მის დანიშვნასთან დაკავშირებით:**

– რაც შეეხება დიანა სანიკიძეს და მთელ ამ ამბავს, ეს არასერიოზული განცხადებაა. ვინ იყო მაშინ თამარ სანიკიძე? ქალბატონი დიანა რომ მოადგილეობიდან მოიხსნა, გავიდა 8 წელი და რა დისკომფორტი ჰქონდა მას? ქალბატონ დიანას რანაირად უნდა გადაეწყვიტა ეს? ანდა, იმის შემდეგ ათასი გამოცდა გავიარე და როგორ უნდა დამხმარებოდა? კომპიუტერთან რომ ვიჯექი, როგორ უნდა ჩამეწყო? სანამ დავით ლაგვილავა მოვიდოდა, მაგ სკოლაში მე ვიყავი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ბელა წიფურია იყო ჩემი კურსელი და მეგობარი, თუ ჩაწყობაზე იყო ლაპარაკი, მაშინ არ შემეძლო ჩაწყობა? თქვენ იცით როგორი მინისტრი გვყავს? საკუთარ დედასა და მამას შეიძლება, არაფერი გააკეთებინოს და დიანა როგორ გადაწყვეტდა რამეს?

**ვუკავშირდებით 51-ე სკოლის პედაგოგს დიანა სანიკიძეს.**

– ცრუობს ლაგვილავა, თამარ სანიკიძე ჩემი ახლობელი არ არის. ლაგვილავას მინისტრობა უნდა და მაგიტომ ხდება ეს ყველაფერი!

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მასშტაბურ საპროტესტო აქციებს იწყებენ

14 ოქტომბერს სამხატვრო აკადემიის წინ შეკრებილმა სტუდენტებმა რექტორად გია გუგუშვილის არჩევა გააპროტესტეს. ისინი გუგუშვილისა და ქალაქის მერის ნათესავურ კავშირზე მიუთითებდნენ. მათი თქმით, ახლად არჩეული რექტორი დავით ნარმანიას წინასაარჩევნო კლიპებში მეუღლესთან ერთად მონაწილეობდა.

მათი თქმით, არჩევნები 11:00 საათის ნაცვლად, 09:00-ზე ჩატარდა, გარდა ამისა, კიდევ ერთი დარღვევა, მათი თქმით, საარჩევნო პროცესში მხოლოდ 2 კანდიდატის მონაწილეობაა.

აკადემიაში განმარტავენ, რომ არჩევნების ჩატარების დრო სვეტიცხოვლობის დღესასწაულის გამო გადატანეს, რადგან თანამშრომლებს საშუალება მისცემოდათ, მცხეთაში წასულიყვნენ. ახლად არჩეული რექტორი კი აცხადებს, რომ მზად არის, სტუდენტებთან მოლაპარაკებები გამართოს.

სამხატვრო აკადემიასთან შეკრებილი 20-მდე სტუდენტი მხარს უჭერს რექტორობის მსურველ ყოფილ კანდიდატს გიორგი ეძგვერაძეს, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. უარი მას აკადემიის დებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ეთქვა. დებულების მიხედვით, რექტორობის კანდიდატი აუცილებლად დარგობრივი პროფესორი უნდა იყოს. ეძგვერაძე არჩევნებს არალეგიტიმურს უწოდებს. მან სასამართლოში არჩევნების შედეგის გაბათილების მოთხოვნით სარჩელი უკვე შეიტანა.

ახალი რექტორი აკადემიურმა საბჭომ 8 ხმით 2-ის წინააღმდეგ დღეს აირჩია. მოგვიანებით სტუდენტებისა და ახალი რექტორის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. რამდენიმეწუთიანი შეხვედრისას გია გუგუშვილმა კითხვებს არ უპასუხა, სტუდენტებს გასაუბრება სხვა დროს შესთავაზა და ტერიტორია დატოვა. სტუდენტები აცხადებენ, რომ მასშტაბური აქციების დაწყებას გეგმავენ.

გუგუშვილის არჩევას სტუდენტებთან ერთად აკადემიიდან გაშვებული ყოფილი თანამშრომლებიც აპროტესტებენ და ახალი რექტორისგან საჯარო შეხვედრას ითხოვენ, რომელსაც მედიასაშუალებებიც დაესწრებიან.

გუგუშვილი აცხადებს, რომ დიალოგისთვის მზად არის და არ უკვირს, თუ ვინმეს მისი სამომავლო გეგმები და შეხედულებები არ მოსწონს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსთავში სოკოთი მასობრივი მოწამვლის შემთხვევები დაფიქსირდა



ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოს უკვე 12-მა პაციენტმა მიმართა. მათ შორის ერთი 5 წლის ბავშვია, რომელიც იაშვილის ბავშვთა კლინიკაშია გადაყვანილი.

როგორც რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი ყვება, პაციენტებმა სოკო მინდორში მოაგროვეს. მოწამლულთა ნაწილი საავადმყოფოდან უკვე გაეწერა, ნაწილი კი თბილისის კლინიკებში მკურნალობს. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ვინ ჩემი ფეხები ხართ, ამაზე დაფიქრებულხართ ოდესმე?“ — მაია დარსმელიძის მწვავე პოსტი დაბოლმილ ადამიანებს



მომღერალი მაია დარსმელიძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დაბოლმილ ადამიანებსა და ნეგატიური კომენტარების ავტორებს პოსტს უძღვნის.

– სხვისი ცხოვრების განხილვისა და ბოლმის ფრქვევის გარდა „პრასვეტი“ რომ არ გაქვთ, თქვენთვის სრულიად უცხო ადამიანებზე საზიზღრობების წერით თვითდამკვიდრებას რომ ცდილობთ, არ გიფიქრიათ, რეალურად რა ეშველება თქვენს ნაცრისფერ, უსუსურ ცხოვრებას? ვინ ჩემი ფეხები ხართ, რას წარმოადგენთ თუნდაც თქვენს გარემოცვაში – ამაზე დაფიქრებულხართ ოდესმე?

რატომ ხართ მუდმივად ასე ცუდად? რა არის ამის მიზეზი – გიფიქრიათ ამაზე, არაფრის მაქნისო კლავიატურის კრეტინებო?

ამ პოსტსაც წაათრევს ჩემს პროფაილზე ჩასაფრებული უნიჭო მზექალა, რომელიც მხოლოდ დაქალებსა და სანათესაოს აბოლებს რომ ჟურნალისტია; რომელიც, სავარაუდოდ, პირადი მოტივებით ვერ მიტანს, ჩემს ყველაზე საზიზღარ ფოტოს დაურთავს „სტატიას“ და თქვენი „შე მახინჯო“ კომენტარებით დაკმაყოფილდება. )))))))))))))

თქვენ ახალი სიბრძნეების წერის ბედნიერებას მოგანიჭებთ, მე კი კიდევ ერთხელ გადავამოწმებ სტატისტიკას: ძირითადად ტაფამირტყმული მახინჯები, გუმბათქავერიანი ვითომ მორწმუნეები და არშემდგარი ტიპები წერენ საზიზღრობებს. წარმატებულ ადამიანს სხვისი განსჯის არც დრო და არც სურვილი არ აქვს.

მეც თქვენი გართობით ველარ მოვცდები, ახალი, მესამე პროექტი დავიწყე და ვისაც ჩემი ცუდად ყოფნა გაგახარებდათ – ჩემი მორიგი წარმატებით და კარგადყოფნით უნდა გაგიხეთქოთ გული, – წერს დარსმელიძე.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რატომ დაურეკა კოტე თოლორდავამ ინტიმურ სცენაში თამაშისას დასახმარებლად ცოლს?



„ნაღმი“ – ასე ჰქვია ქართველი რეჟისორისა და სტუდია „სარკეს“ მიერ გადაღებულ ქართულ-ამერიკულ ფილმს, რომელიც საქართველოს კინოეკრანებზე 23 ოქტომბრიდან გამოვა.

ქართულ-ამერიკულ თრილერში, რომელიც შურისძიებასა და ძალადობაზეა, ერთმანეთს პარტნიორობას ამერიკელი და ქართველი მსახიობები უწევენ. მოძალადე მონადირის, ილიას როლს კი ქართველი მსახიობი კოტე თოლორდავა ასრულებს, რომელსაც „ნაღმში“ საკმაოდ რთული როლის შესრულება და საკუთარი წონის „მსხვერპლად“ შეწირვა მოუწია – მსახიობმა ამ როლისთვის 15 კილოგრამი მოიმატა.

როტვეილერებთან და ფუტკრებთან დამეგობრების გარდა, კოტე თოლორდავას ფილმში საკმაოდ თამამი და რთული სცენის თამაში იმ დროს მოუწია, როდესაც ერთ-ერთ უცხოელ ტურისტზე ძალადობს.

ქართველი მსახიობის თქმით, როდესაც თავიდან უთხრეს, რომ ინტიმური სცენა უნდა ეთამაშა, ცოტა სკეპტიკურად შეხვდა ამ ამბავს.

„გადაღების წინ მეც და ჩემი პარტნიორიც ძალიან დაძაბულები ვიყავით. განსაკუთრებით მე, რადგან უნდა შემესრულებინა მოძალადის როლი, რომელიც ქალზე ძალადობს სექსუალურად. ერთ მომენტში კი იმდენად ცუდად გავხდი, რომ დახმარებისა და რჩევისთვის ჩემს მეუღლეს, განოს დავურეკე.

ვუთხარი, ველარ ვაგრძელებ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი. განომ, არც მეტი, არც ნაკლები, მშვიდად მითხრა, გააგრძელე თამაში და ისე იძალადე, რომ კრისი (ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი), სახლში რომ დაბრუნდება და ამას ნახავს, შენზე შურისძიება მოუნდესო“, – იხსენებს კოტე თოლორდავა.

*marao.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რისი დემონსტრირება მოახდინა „ნიჭიერში“ ნიკა გრიგოლიას ყოფილმა ცოლმა



სიშიშვლე „ნიჭიერში“ დიდი დოზით რომ იქნება, ამაში ჩვენი რეპორტაჟებით უკვე დარწმუნდით.

ახლა ორ ნომერზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ერთ-ერთი ამერიკული „ნიჭიერის“ ანალოგი იყო – ალბათ, გინახავთ, ორი პირსახოცაფარებული ბიჭი, სრულიად შიშვლები პირსახოცებს რომ ცვლიან, ატრიალებენ და ამას ისე ახერხებენ, რომ სასირცხვო ადგილები არ გამოაჩინონ.

ასეთივე ნომრის გამეორება სცადეს ქართველმა ბიჭებმაც და საბოლოოდ სახალისო ნომრით მოახერხეს ჟიურისთვის თავის მოწონება და მაყურებლის აყოლიებაც.

ია ფარულავა, როგორც ყოველთვის, კრიტიკული იყო. ჯერ დალაქული პირსახოცები დაიწუნა, შემდეგ კი იკითხა, მარცხის შემთხვევაში როგორ მოიქცეოდნენ.

– ისეთს ვერაფერს ვნახავდით, რაც მე და ჭოლას არ გვინახავსო, – დაამშვიდა ია ნიკა გვარამიამ.

მალე სცენაზე სამი ნახევრად შიშველი მონაწილე გამოვიდა. ორი კუნთიანი მამაკაცის შუა ნიკა გრიგოლიას ყოფილი ცოლი, ია უძილაური იდგა.

იამ საზოგადოების ყურადღება ბოლო დროს იმით მიიქცია, რომ ბიკინის ფიტნესკატეგორიების შეჯიბრებებზე მონაწილეობს. სწორედ დაკუნთული სხეულის დემონსტრირება მოახდინა ამ სამეულმა სცენაზე. მაყურებელი განსაკუთრებულად მათი სცენიდან გასვლის დროს აღფრთოვანდა, რაც, სავარაუდოდ, იას ლამაზი უკანალით იყო განპირობებული.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვისთან აქვს საშიში სექსი ანრი ჯოხაძეს?



მომღერალი ანრი ჯოხაძე აცხადებს, რომ ზოდიაქოს ზოგადად დიდ ყურადღებას აქცევს და ითვალისწინებს.

– ჩემ გარშემო ყველა ადამიანთან მიმართებაში ვიცი და ვხვდები, რატომ მაქვს, ან მქონდა ჰარმონიული, თუ დისჰარმონიული ურთიერთობა. რაც შეეხება სექსპარტნიორებს, ესენი არიან კურო და მორიელი, – ამბობს ჯოხაძე.



შეკითხვაზე, რა ხდება, როცა ორი მორიელი ერთადაა, ჯოხაძე პასუხობს, რომ ორი მორიელი ერთად საშიში სექსია – „როცა ქვა ქვაზე აღარ რჩება“...

ანრი ჯოხაძე ახალი კლიპის გადაღების პროცესზეც ყვება. მისი თქმით, კლიპში მერსი სულხანიშვილის ძუძუებიც აქტუალურია.

– კლიპი მერსის ძუძუების გარეშე არაფერი იქნებოდა. ჩვენ ხომ „კაზანტიპს“ ვაგინებთ, მაგრამ ლობეებზე ვძვრებით, რომ ვიღაცის ძუძუები დავინახოთ. ჰოდა, „კაზანტიპი“ ქუჩაში მიმავალ მანქანაში მოვაწყვეთ მე და მერსიმ. სხვათა შორის, მანქანიდან ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ტაბურეტიც ვისროლე. ამ სცენას გამგები გაიგებს...

*tblisilebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რატი წითელაძისა და ივანა მელაის ვნებიანი ფოტოსესია



ვიდრე მელაი მაყურებელს ახალ სანახაობას შესთავაზებს, ვიდეოპორტალ „იუთუბიზე“ ყოველდღიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება ვიდეო, რომელშიც ის სპორტსმენ რატი წითელაძესთან ერთად გამომწვევად პოზირებს.



როგორც ვიდეოს აღწერაშია მითითებული, ფოტოსესია პროექტ „მე მიყვარს ქართველების“ ფარგლებში მოეწყო.

*news.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „სვეტიცხოვლობა, ამიხსნას ვინმემ, რა არის“



მომღერალი თეონა კონტრიძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

– სვეტიცხოვლობა ამიხსნას ვინმემ რა არის, თორემ ვიღებ მოლოცვებს და არ ვიცი, რას ვზეიმობთ! – წერს კონტრიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „ქუჩის ბიჭების“ „პიკასო“ მეოჯახე მანდილოსანს ეძებს



ირაკლი ნოზაძე, სოციალურ ქსელში განცხადებას აქვეყნებს.

– განცხადება! ვეძებ ძალიან ლამაზ, ერუდირებულ, მეოჯახე, 179 სმ მქონე, ერთგულ, არა ქერა, 25-29 წლის მანდილოსანს! სეეეეერიოზული საბაზრო მაქვს! – წერს „პიკასო“.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ირინა სარიშვილი: „ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის საზღვართან დაკავებულია მამაკაცი რომელიც ამბობს, რომ პრეზიდენტია“



აღნიშნულის შესახებ ყოფილი პარლამენტარი ირინა სარიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

– მეგობრებო! ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის (ქვეყანას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ) საზღვართან დაკავებულია უბილეთო და უვიზო პილიგრიმი – სიმპათიური მამაკაცი სანდომიანი, ოდნავ დაბნეული გამომეტყველებით. ამბობს, რომ პრეზიდენტია და აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. საქართველოს მთავრობა აღნიშნულ ინციდენტზე კომენტარს არ აკეთებს და აცხადებს, რომ ასეთს არავის არ იცნობს, – წერს სარიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. მსახიობი ... გარსია
2. პოეტი ... ყუბანეიშვილი
3. სისხლძარღვი
4. სამატომიანი ჟანგბადი
5. დიოგენეს „სახლი“
6. მაგნიტიანი ხელსაწყო
7. ოცკაპიკიანი ძველად
8. იუმორისტი ... კვირიკაშვილი
9. მსახიობი ბრიჯიტ ...
10. ხმის მყესი
11. კვამლის გამწმენდი სიგარეტში
12. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
13. მდინარე დარიალის ხეობაში
14. ნამცხვარი-ბისკვიტი
15. მულტფ. პერსონაჟი: ჰომეროს ...
16. ქვეყანა. დედაქალაქია ოსლო
17. მხ/ფ. „ბედის ..., ანუ გაამოთ!“
18. ადამიანის წამარხი ქვესახეობა
19. მთათა სისტემა ევროპაში
20. რევოლუციური კრეისერი (ისტ.)
21. ქვაზე ჩაღრმავებული კვეთა
22. უდაბნო მონღოლეთში
23. მხ/ფ. „... ჰელსინგი“
24. ჟ.გაბენი ფილმში „... ქალაქში“
25. იაზონის გემი (ბერძ.მით.)
26. ცვარი
27. მხ/ფ. „... შემოდგომისა“
28. მსახიობი სტივენ ...
29. რძის პროდუქტი
30. კომპოზიტორი ... კალმანი
31. ვირისა და ცხენის ნაშიერი
32. ქიმიური ელემენტი
33. სულების გამოძახება
34. აშშ-ს შტატი. დედაქალ. ფინიქსი
35. მონეტის მხარეები: ... და რევერსი
36. ყურძნის ჯიში
37. მოკრივე მაიკლ ...
38. მსახიობი ... ჰოპკინსი
39. ჰაერის ბუნებრივი ვენტილაცია
40. ბეთჰოვენი. „... სონატა“
41. სიტყვიერი პაექრობა
42. მოცულობის ერთეული აშშ-ში
43. მსახიობი ოლეგ ...
44. გეიშამონაფე
45. მსახიობი კერი ...
46. იგივეს ზნეობრივი დასკვნა
47. თურქეთი ძველად
48. წნილებიანი დედალი
49. ნაგებობა: მსოფლიოს საოცრება
50. ქმრის ძმა
51. მეცნიერება ცხოველთა შესახებ
52. სახელმწიფო ჰიმალაის მთებში
53. საველე ჰოსპიტალი
54. მსახიობი მონიკა ...
55. ხილის სითხე, ანუ ...
56. ... უდუმაშვილი
57. ბერების დიდი მონასტერი
58. მაიმუნის სახეობა
59. იტალიელი კომპოზიტორი
60. ფინიკი, ანუ ...
61. ვაქცინაცია
62. სანტაკლაუსის „სამშობლო“
63. ძვ. ქართული მწერლობის ძეგლი
64. იგივეა, რაც ნავსი
65. მწერალი რედიარდ ...
66. ტოტო ფილმში „... კანონია“
67. მწერალი ერიხ მარია ...
68. მხ/ფ. „ქრისტეს ...“
69. მახრჩობელა გველი ამაზონში
70. მუხის ნაყოფი
71. ნახევარკუნძული. მდებარეობს მექსიკა
72. მულტფილმი „ბატი ...“
73. ღვთის სადიდებელი შესხმა
74. პიეროს სატრფო ცისფერი თმებით
75. სვავი, ანუ ...
76. დედნის ქსეროპირი
77. კუბაზე: ... კასტრო
78. მსახიობი ... ბროუდი
79. ქალაქი საფრანგეთში
80. მონღოლეთის დედაქალაქი
81. დასაკეცი ერთყურიანი სათვალე
82. მხატვარი ... პიკასო
83. ტყუილს ... ფეხები აქვს
84. შეკრული მუშტი
85. ღობე
86. მელიტონ ბალანჩივაძე. „... ცბიერი“
87. მსახიობი ... წულაძე
88. მხ/ფ. „მატრიცა“. ნათელმხილველი
89. მომღერალი მარია ...
90. იტალიური ღვეზელი
91. სახელმწიფო ევროპაში
92. სამშენებლო მასალა
93. მუს. ბგერის გრაფიკული გამოსახ.
94. მეფის მრჩევლები: ...-ვეზირი
95. მტაცებელი ფრინველი
96. „წითელი და შავი“. მწერალი
97. მომღერალი ბობ ...
98. რუსი ხატმწერი ანდრეი ...
99. ნივთიერება ყავაში
100. ცელქი, მოუსვენარი
101. საკუთარი თავის რწმენა
102. ბანდეროლი
103. ყურძენი მოგრძო მარცვლებით
104. იდეა
105. რეჟისორი სტენლი ...
106. მეფის რუსეთში: საიდუმლო პოლიცია
107. ფულის ერთეული ჩრდ. კორეაში
108. კიბორჩხალა, ანუ ...
109. საბერძნეთის მიმდებარე ზღვა
110. ქეით ბლანშეტი ფილმში
111. მხოლოდ ტანის ქანდაკება
112. იაპონური ჭიდაობა
113. აეროპორტი პარიზში
114. მსახიობი ... ზაქარიაძე
115. წამლის დაფასოების ფორმა
116. მაღალი, გამხდარი ადამიანი
117. ყირგიზეთის დედაქალაქი
118. ვიქტორ ჰიუგო. „განკიცხულნი“: პერსონაჟი
119. ნარკოტიკული ნივთიერება
120. ტერმინი. ნიშნავს ცივს
121. დილეგი
122. პურეულის გასალეწი მოედანი
123. მხ/ფ. „... უბნის მელოდიები“
124. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
125. ... ყველაფრის მკურნალია
126. მსახიობი ... მარტინი
127. ჰონკონგელი რეჟისორი ჰოლივუდში ...
128. მსახიობი ვახტანგ ...
129. ფრანგი მწერალი ფრანსუა ...
130. გურამ ფანჯიკიძე. „... პატიოსანი“
131. მსახიობი აიშვარია ...
132. ნაჭრის მრგვალი ქუდი
133. ფრანგი ენციკლოპედისტი დენი ...
134. მწვანილი
135. წვეტიანი გეომეტრიული სხეული
136. პუშკინი. „... მეფის ზღაპარი“
137. თოვლის კაცი
138. შოლოხოვი. „წყნარი ...“
139. გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ ...
140. იტალიის დედაქალაქი
141. მსახიობი ... ტოტუ
142. ძვირფასი საიუველირო ლითონი
143. ... აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს
144. ვერცხლის ათცენტიანი
145. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
146. მსახიობი ... ნოლტი
147. მსახიობი რობერტ ... უმცროსი
148. „ჯეინ ეარი“. ავტორი
149. მსახიობი ... დეპი
150. საათის ციფერბლატიანი ფირფიტა
151. მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
152. ლატვიის ფულის ერთეული
153. მევიოლინე ... პაგანინი
154. სტამბოლში: ...-სოფია





პასუხები: 1. ენდი; 2. კოტე; 3. ვენა; 4. ოზონი; 5. კასრი; 6. კომპასი; 7. აბაზი; 8. მზია; 9. ბარდო; 10. იოგი; 11. ფილტრი; 12. ინდონეზია; 13. თერგი; 14. კექსი; 15. სიმფსონი; 16. ნორვეგია; 17. ირონია; 18. პითეკანთროპი; 19. ალპები; 20. „ავრორა“; 21. ინტალიო; 22. გობი; 23. ვან; 24. ორნი; 25. „არგო“; 26. ნამი; 27. მზე; 28. სიგალი; 29. კარაქი; 30. იმრე; 31. ჯორი; 32. იოდი; 33. სპირიტიზმი; 34. არიზონა; 35. ავერსი; 36. რქაწითელი; 37. ტაისონი; 38. ენტონი; 39. აერაცია; 40. მთვარის; 41. კამათი; 42. ბარელი; 43. ვიდოვი; 44. მაიკო; 45. ოტისი; 46. მორალი; 47. ოსმალეთი; 48. კრუხი; 49. პირამიდა; 50. მაზლი; 51. ზოოლოგია; 52. ნეპალი; 53. ლაზარეთი; 54. ვიტი; 55. წვენი; 56. ზაალ; 57. ლავრა; 58. მაკაკი; 59. ლეონკავალო; 60. ინდისხურმა; 61. აცრა; 62. ლაპლანდია; 63. „ვისრამიანი“; 64. თარსი; 65. კიპლინგი; 66. კანონი; 67. რემარკი; 68. ვნებანი; 69. ანაკონდა; 70. რკო; 71. იუკატანი; 72. ტასიკო; 73. ოსანა; 74. მალვინა; 75. გრიფონი; 76. ასლი; 77. ფიდელ; 78. ედრიან; 79. ნიცა; 80. ულან-ბატორი; 81. ლორნეტი; 82. პაბლო; 83. მოკლე; 84. მჯილი; 85. მესერი; 86. დარეჯან; 87. ბაადურ; 88. პითია; 89. კალასი; 90. პიცა; 91. დანია; 92. აგური; 93. ნოტი; 94. ნაზირ; 95. ორბი; 96. სტენდალი; 97. მარლი; 98. რუბლიოვი; 99. კოფეინი; 100. ცეტი; 101. რიხი; 102. ამანათი; 103. თითა; 104. აზრი; 105. კუბრიკი; 106. ოხრანკა; 107. ვონა; 108. კიბო; 109. ეგეოსი; 110. „ნიჟი“; 111. ტორსი; 112. სუმო; 113. „ორლი“; 114. სერგო; 115. აბი; 116. ახმახი; 117. ბიშკეკი; 118. კოზეტა; 119. კოკაინი; 120. კრიო; 121. საკანი; 122. კალო; 123. ვერის; 124. „მატრიცა“; 125. დრო; 126. სტივ; 127. ვუ; 128. ნინუა; 129. რაბლე; 130. თვალი; 131. რაი; 132. ბერეტი; 133. დიდრო; 134. ტარხუნა; 135. კონუსი; 136. სალთან; 137. იეტი; 138. დონი; 139. კანტი; 140. რომი; 141. ოდრი; 142. ოქრო; 143. დიდ; 144. დაიმი; 145. ავლიპი; 146. ნიკ; 147. დაუნი; 148. ბრონტე; 149. ჯონი; 150. ციფერბლატი; 151. გეა; 152. ლატი; 153. ნიკოლო; 154. აია. იკითხება: რობერტსი. მინელი.



ცოლი სახლში საკმაოდ შემთვრალი დაბრუნდა. ქმარს რომ არაფერი გაეგო, სწრაფად მიუჯდა ნოუთბუქს და სერიოზული სახით დაუწყო კირკიტი.

ცოტა ხანში ქმარმა დაუცაცხანა:

– ადე, დახურე ეგ ჩემოდანი და დასაძინებლად დაწექი!..

*****

– დედიკო, მამიკო კიბიდან ჩამოვარდა!

– მართლა?! და რა თქვა?

– გინებები გამოვტოვო?

– აბა, რა!

– მაშინ ხმა არ ამოუღია...

*****

– ძვირფასო ქალებო! მამაკაცები ნაცნობობის კი არა, დასაქმების საიტებზე უნდა ეძებოთ! კითხვები იქაც იგივეა, უბრალოდ, რეზიუმე და ფოტოებია ნამდვილი!..

*****

ექიმი პაციენტს:

– მე მგონი, თქვენ ჩემთან უკვე იყავით, არა? აბა, ერთი, გვარი შემახსენეთ...

– ბარტაძე...

– პროსტატიტი?

– არა, ბატონო, კონსტანტინე!..

*****

კოტეს კლასელი გოგოები შეუთანხმდნენ, რომ, თუ გაკვეთილზე რომელიმე ცუდ სიტყვას იტყოდა, კლასს ყველა დატოვებდა. დაიწყო გაკვეთილი და მასწავლებელი კითხვას სვამს:

– აბა, მითხარით, რა შენდება ახალი ჩვენს ქალაქში?

– სკოლა!

– ბიბლიოთეკა!

– მუზეუმი!

კოტე:

– ბორდელი, მასწ...

ეგრევე წამოხტნენ გოგოები და კლასიდან გადიან, კოტემ:

– სად მიდიხართ, ჯერ ფუნდამენტის ჩასხმა არ დაუმთავრებიათ!..

*****



ქმარი კომპიუტერში რაღაც საშინელი თამაშით ერთობა, გარშემო აღარაფერი ახსოვს. ცოლმა ყურადღების მიქცევა სცადა:

– ძვირფასო, აბა, მითხარი, რა ჯანდაბად გინდა ეგ მონსტრები, როცა აგერ მე გყავარ?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## მამაკაცებისთვის მკერდის კიბო უფრო სახიფათოა, ვიდრე ქალებისთვის?



– მართალია, მკერდის კიბოს დიაგნოზს მამაკაცებს გაცილებით იშვიათად უსვამენ, ვიდრე ქალებს, მაგრამ ძლიერი სქესის შემთხვევაში, დიაგნოზი ფატალური იქნება, – ასკვნიან ონკოლოგები, რომლებმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართლაც მასშტაბური კვლევა ჩაატარეს. კერძოდ, შეისწავლეს და ერთმანეთს შეადარეს 13 ათასი მამაკაცისა და 1 მილიონ 440 ათასი ქალის მდგომარეობა, რომლებიც 1998-2007 წლებში ამერიკის კიბოთი დაავადებული პაციენტების მონაცემთა ბაზაში იყვნენ დაფიქსირებულები.

აღმოჩნდა, რომ ქალების შემთხვევაში, დაავადების დამარცხება 83 პროცენტში ხდებოდა, მამაკაცების მაჩვენებელი კი – 74 პროცენტი. გარდა ამისა, დიაგნოზის დასმის შემდეგ, მამაკაცები დაახლოებით 8 წელი ცოცხლობდნენ, ხოლო ქალები – მინიმუმ 10 და მეტი.

ამ უსიამოვნების ერთ-ერთ მიზეზად ის სახელდება, რომ მთელი მსოფლიო მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული ქალის მკერდის კიბოს შესახებ, რაც შეეხება ამ უსიამოვნებას მამაკაცების ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ფაქტის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის.

გამოგიტყდებით და მამაკაცებსაც თუ უჩნდებოდათ მკერდის კიბო, ნამდვილად არ ვიცოდით, თუმცა ამიერიდან ამ ფაქტს აუცილებლად გავითვალისწინებთ და ნებისმიერი სიახლის შესახებ მაშინვე მოგიყვებით ხოლმე.

***lifeukr.net***

## გამოგონილია მკერდის გადიდების სრულიად უსაფრთხო მეთოდი



არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რამდენად პოპულარული გახდა მკერდის გადიდება ბოლო წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, იმპლანტანტების გამოყენება, თუნდაც ძალიან ხარისხიანის, არცთუ იშვიათად სერიოზული პრობლემების გაჩენის მიზეზი ხდება. გარდა ამისა, იმპლანტანტები ზიანდება და ესეც რომ არ იყოს, მათი გამოცვლაც აუცილებელია – 10 წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც.

როგორც ირკვევა, დიდ ბრიტანეთში მკერდის გადიდების ახალი მეთოდი გამოიგონეს – იმპლანტანტების გამოყენების გარეშე.

მეთოდის ავტორი ნისლიან ალბიონზე ცნობილი ქირურგი ლოურენს კირვანია, რომელმაც სიახლე უკვე დააპატენტა კიდეც. მისი მეთოდის მიხედვით, მკერდის გადიდება ან ფორმების გაუმჯობესება ზომის შეცვლის გარეშე, ქალის ქსოვილების გამოყენებით ხდება.

ოპერაციის დროს, ქირურგს ქსოვილი მკერდის ქვედა ნაწილიდან იმ ადგილზე გადააქვს, სადაც საჭიროება მოითხოვს. შემდეგ ქვედა ნაწილში კანი ცოტათი იჭიმება. ასეთი მეთოდით, მკერდი უფრო ზემოთ იწევს და შევსებული ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელმა სპეციალისტმა ეს მეთოდი არცთუ დიდი ხნის წინ შეიმუშავა, დაინტერესება მშვენიერი სქესის წარმომადგენლების მთელმა არმიამ გამოხატა – ლოურენს კირვანს მომდევნო რამდენიმე თვე უკვე შევსებული აქვს.

ახალი მეთოდის რეკლამაც ძალიან ბევრისმთქმელია – გარანტიას ქალს მთელი სიცოცხლის მანძილზე აძლევს, თანაც შემდგომში აღარავითარი კორექტირება საჭირო არ არის.

კირვანთან ოპერაციის გაკეთება 20 ათასი აშშ დოლარი ღირს.

***woman.ru***

## კატამ პატრონებს 5 წლისა და 2500 კილომეტრის შემდეგ მიაგნო



საერთოდ, კატების უნიკალურ თვისებაზე, მიაგნონ პატრონებს, ძალიან ბევრი ფაქტია ცნობილი, თუმცა შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ უნდა მოგიყვეთ, ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და განსაკუთრებულია.

ამერიკული ოჯახი კოლორადოდან უბრალოდ, ვერ იჯერებდა, როცა ნიუ-იორკში თავისი კატის შესახებ გაიგო, რომელიც ადგილიდან, სადაც 5 წლის წინათ დაიკარგა, 2500 კილომეტრით იყო დაშორებული.

ჯეიმი სკვაირის თქმით, როცა მათ ცხოველთა დაცვის სამსახურიდან დაურეკეს და კატის პოვნა ამცნეს, ოჯახში ვერაფრით დაიჯერეს, რომ მათ საყვარელ უილოუზე იყო საუბარი, თუმცა როცა ელექტრონულ ფოსტაზე ფოტოებიც მიიღეს, ყველაფერი ცხადი გახდა.

როგორ შეძლო კატამ კოლორადოდან ნიუ-იორკამდე ჩაღწევა, არავინ იცის, თუმცა საყვარელი ცხოველის პოვნით ამერიკული ოჯახი ძალიან ბედნიერია და ამბობს, რომ მას აღარასოდეს დაკარგავს...

***tainamira.ru***

## დღის რომელ მონაკვეთშია უკეთესი წამლების მიღება?



ეჰ, რას ვიზამთ, წამლების ყლაპვის გარეშე არ გამოდის ხოლმე ხანდახან ცხოვრება, ყველაზე საშინელი კი ის არის, ზოგ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ სჭირდება მედიკამენტოზური მკურნალობა. მოკლედ, საკითხი საკმაოდ აქტუალურია და ვფიქრობთ, ეს სიახლე დაგაინტერესებთ.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როდის მიიღებს ადამიანი წამალს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოვიყენოთ მედიკამენტები უფრო ეფექტურად.

კავშირს წამლის დალევასა და დღის მონაკვეთს შორის შემდეგნაირად ხსნიან: მათი განმარტებით, ჩვენი ორგანიზმი ბიოლოგიური საათებით ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხდება თავის ტვინის გარკვეული მონაკვეთების კონტროლი. ასევე, კონტროლდება იმუნური სისტემა, სხეულის ტემპერატურა, წნევა, ჰორმონების გამომუშავება და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, წამალი უფრო ეფექტურად კონკრეტულ დროს მოქმედებს.

ასე მაგალითად, გულის პრეპარატების მიღება უმჯობესია დილას, რადგან დღის სხვა მონაკვეთში მათი ეფექტურობა დაიწევს. ჰიპერტონიის, ინსულტისა და სისხლის წნევის კონტროლის საშუალებები ადამიანმა უნდა დალიოს საღამოს ან ღამით. გარდა ამისა, მათი ეფექტურობა მატულობს მაშინ, როცა აბების მიღება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ხდება.

მედიკოსები ამ ყველაფრის გათვალისწინებას გვირჩევენ, რათა საკუთარ თავს უკეთესი და უფრო ეფექტური დახმარება აღმოვუჩინოთ.

***medkarta.com***

## ტანსაცმელი ადამიანის ქცევებს ცვლის?



როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ტანსაცმელს, იმოქმედოს ადამიანის ქცევებზე? ახლა, შარვალი თუ აქვს უბეში გამოხეული, უხერხულობისგან შეიძლება შეიცვალოს, თუმცა საკითხი უფრო სიღრმისეულად ამერიკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს.

ილინოისის შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: მოხალისეებს შესთავაზეს, ჯერ ექიმის ხალათი ჩაეცვათ, შემდეგ კი მხატვრის სამოსი მოერგოთ (მხატვრის სამოსში რა იგულისხმება, ცოტა რთული სათქმელია).

აღმოჩნდა, რომ ორივე შემთხვევაში, ადამიანების ქცევა შეიცვალა. კერძოდ, ექიმის ხალათში ექსპერიმენტის მონაწილეებმა სხვებზე, გარშემომყოფებზე ზრუნვა დაიწყეს, თითქოს, მათი შველა სურდათ. მხატვრის სამოსში გამოწყობილებში კი მათი შემოქმედებითი პოტენციალი გააქტიურდა და გარშემომყოფების მიმართ ინტერესი საგრძნობლად შემცირდა.

– ნებისმიერი სახის ტანსაცმელს შეუძლია ადამიანის ქცევების შეცვლა და ეს ეხება არამხოლოდ სპეცსამოსს, – განმარტავენ კვლევის ავტორები.

აი, ახლა მივხვდით, რატომ იცვლება რადიკალურად და უხეშდება ყველა, ვინც პოლიციელის ფორმას იცვამს!..

***tainamira.ru***

## იტალიელი მამაკაცი შემთხვევით... მერად აირჩიეს



პრინციპში, დიდად არც გაგვკვირვებია, რადგან იმდენი ქართველი ჩინოვნიკი ვიცით, უმაღლეს თანამდებობას სწორედაც რომ შემთხვევით იკავებს, ჩამოსათვლელად თითები არ გვეყოფა.

რაც შეეხება იტალიელ ფაბიო ბორზატის, მან თავადაც არ იცოდა, ისე გახდა ფრიული-ვენეცია-ჯულიას რეგიონის მცირე დასახლების – ჩიმოლაისის მერი.

იქაური მედიის ინფორმაციით, ბორზატი სულაც არ ფიქრობდა, კომუნას ჩასდგომოდა სათავეში. მას არ ჰქონდა არც საკუთარი პროგრამა, კანდიდატების სიაში კი მხოლოდ მეგობრის ჯინო ბერტოლოს თხოვნით მოხვდა, რომელიც ჩიმოლაისის აწ უკვე ყოფილი მერი გახლავთ.

50 წლის ბორზატი ყვება, რომ მას მეგობარი მერი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაუკავშირდა და სთხოვა, თანამდებობაზე ალტერნატიული პრეტენდენტი ყოფილიყო. ბორზატი მაშინვე დასთანხმდა, რადგან, ჯერ ერთი, არ სურდა, მეგობრისთვის მოლოდინი გაეცრუებინა და მეორე – დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებში მოქმედი მერი გაიმარჯვებდა.

სინამდვილეში, ისე მოხდა, რომ ამომრჩევლებმა ხმა სწორედ ალტერნატიულ კანდიდატს მისცეს და წინდაუხედავი ჩინოვნიკი პუპლუცზე დატოვეს.

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბათუმის გარეუბანი
2. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
3. მოხეტიალე მომღერალი ძველ ევროპაში
4. ტბა დუშეთის რაიონში
5. სახელმწიფო სამხ. აზიაში
6. ენათმეცნიერი ვახუშტი ...
7. მარცვლოვანი მცენარე
8. ერთგვარი დიდი ბუზი
9. მანუფაქტურული საწარმო
10. ჯალათის ფიცარ-ნაგი
11. გამის ნოტი
12. მსახიობი ... ჰათაუეი
13. მსახიობი ... ლი ჯონსი
14. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
15. სახელმწიფო აზიაში
16. შტატი აშშ-ში
17. 1000კგ
18. მარილიანის გემო
19. თევზის ჯიში
20. გოგებაშვილის სოფელი
21. სასწორის ჯამი
22. პრეზიდენტის ფიცი
23. ორელექტროდიანი მილაკი
24. ფურუნკული
25. აორტის ანთება
26. ... არაგვისპირელი
27. რუს მეფეთა დინასტია
28. ხელოსნების გაერთიანება
29. მონღოლეთის დედაქალაქი
30. ცხენის კუდის ბალანი
31. მწერალი ჟორჟ ...
32. მომღერალი ... ვაიკულე
33. დიდი საჯარისო შენაერთი
34. სიმბოლიკა ... და ურო
35. ნურსულთან ...
36. მოსამართლის მოსასხამი
37. უბედურების სიგნალი
38. ანტილოპას სახეობა
39. სპორტის სახეობა
40. ოპერის შესავალი ნაწილი
41. „ხევის ბერი გოჩა" პერსონაჟი
42. მსახიობი ჯულიეტა ...
43. ქირი იქა, ლხინი ...
44. ... გაფრინდაშვილი
45. დროის საზომი მექანიზმი
46. „ვეფხისტყაოსანი" პერსონაჟი
47. დიდი ჩაქუჩი
48. მსახიობი ჰიუ ...
49. დამფინანსებელი, ანუ ...
50. მსახიობი ... დიზელი
51. ძაღლის ჯიში
52. გამარჯვების ქალღმერთი
53. პაპინიას ძაღლი
54. ქვეყნის შეიარაღება
55. ლითონი
56. ღრმული წყნარ ოკეანეში
57. ველოდრომი
58. მომღერალი ... კალასი
59. თვალის ნაწილი
60. ნილოსის დუმფარა
61. ხორბლის დიდი საცავი
62. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
63. ფაშვის წვნიანი
64. ცეცხლსასროლი იარაღი
65. მომღერალი რაფაელა ...
66. გამოსახვის პოეტური ხერხი ლექსში
67. ქვეყნის ისტორია
68. მსახიობი ... ანჯაფარიძე
69. ოთხკაციანი ანსამბ-ლი
70. მომღერალი ... ჯოხაძე
71. ზღვის ფრინველი
72. მზესუმზირის ტკბილეული
73. თურქული ფულის ერთეული
74. იაპონური მულტიპლიკაცია
75. პოეტი სადრო ...
76. უბანი ქალაქ ოზურგეთში
77. რეჟისორი რეზო ...
78. გემის საწყობი
79. მთათა სისტემა ...-შანი
80. უძველესი სახელმწ. წინა აზიაში
81. ბოსტნეული
82. მსახიობი ბრედ ...
83. მომღერალი ... ბურჭულაძე
84. იტალიური ღვეზელი
85. ... თათქარიძე
86. ... ფონ ბისმარკი
87. ძალიან წმინდა საცერი
88. ყურძნის კრეფის პროცესი
89. ტბა აფრიკაში
90. უბე
91. გაზაფხულის თვე
92. ქოქოსის გული
93. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
94. მსახ. ... კვირიკაშვილი
95. ციტრუსი
96. დაუდუღებელი ღვინო
97. ხელშეკრულება, ანუ ...
98. მსახიობი ტომ ...
99. საბაჟო აჭარაში
100. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
101. მხ/ფ „... მწვანე ველი"
102. აქ მუშაობს კლოუნი
103. სახეში გაწნული ხელი
104. ფუტკრების სახლი
105. წნევის საზომი ხელსაწყო
106. მდინარე კახეთში
107. უძველესი კოლხეთი
108. ლიტვის დედაქალაქი
109. ქალაქი აფხაზეთში
110. სმენის ორგანო
111. ნიშნავს საწინააღმდეგოს
112. მუსიკალ. ინტერვალი
113. სილამაზის ქალღმერთი
114. მსახ. კეტრინ ...-ჯონსი
115. ოთხიანი ნარდში
116. ციხექალაქი კახეთში
117. ცხენების ჯოგი
118. „წითელი" პლანეტა
119. მხ/ფ „... სასიძო"
120. ... მარაბდელი
121. პალმის კაკალი
122. გემის ტუალეტი
123. მოჭადრაკე მიხეილ ...
124. მსახიობი კოლინ ...
125. ყანწის მასალა
126. მსახიობი ალბერტო ...
127. სწრაფი ტემპი მუსიკაში
128. ცხენებშებმული ტრანსპორტი
129. მსახიობი ... დევისი
130. მწერალი ... ბრაუნი
131. ... კლარკსონი
132. მსუბუქი, ანუ ...
133. ქორეოგრაფი ... ლიეპა
134. მდინარე პარიზში
135. ფლოტის მეთაური
136. კუნთების მოდუნება
137. ჯაშუში ქალი ... ჰარი
138. მსახიობი ... რურკი
139. ფილოსოფოსი კასრში
140. ზღვა შუა აზიაში
141. სალმა ჰაიეკი ფილმში
142. ყვავილი

პასუხები: 1. მახინჯაური; 2. მარიონეტი; 3. ტრუბადური; 4. ბაზალეთი; 5. მალაიზია; 6. კოტეტიშვილი; 7. სიმინდი; 8. ხარაბუზა; 9. ფაბრიკა; 10. ეშაფოტი; 11. მი; 12. ენ; 13. ტომი; 14. ნეორეალიზმი; 15. ბანგლადეში; 16. აიოვა; 17. ტონა; 18. მლაშე; 19. სტავრიდა; 20. ვარიანი; 21. პინა; 22. ინაუგურაცია; 23. დიოდი; 24. ძირმაგარა; 25. აორტიტი; 26. შიო; 27. რიურიკი; 28. ამქარი; 29. ულან-ბატორი; 30. ძუა; 31. სიმენონი; 32. ლაიმა; 33. არმია; 34. ნამგალი; 35. ნაზარბაევი; 36. მანტია; 37. სოს; 38. გნუ; 39. გოლფი; 40. უვერტიურა; 41. ონისე; 42. მაზინა; 43. აქა; 44. ნონა; 45. საათი; 46. თინათინი; 47. ურო; 48. გრანტი; 49. სპონსორი; 50. ვინ; 51. ლაბრადორი; 52. ნიკე; 53. პერი; 54. მილიტარიზაცია; 55. რკინა; 56. მარიანი; 57. ტრეკი; 58. მარია; 59. რქოვანა; 60. ლოტოსი; 61. ელევატორი; 62. სირ; 63. ხაში; 64. პისტოლეტი; 65. კარა; 66. ალიტერაცია; 67. მატიანე; 68. ვერიკო; 69. კვარტეტი; 70. ანრი; 71. თოლია; 72. ჰალვა; 73. ლირა; 74. ანიმე; 75. ეული; 76. ანასეული; 77. ესაძე; 78. ტრიუმი; 79. ტიან; 80. ურარტუ; 81. ნიორი; 82. პიტი; 83. პაატა; 84. პიცა; 85. ლუარსაბ; 86. ოტო; 87. მერდინი; 88. რთველი; 89. ნიასა; 90. ყურე; 91. მაისი; 92. კოპრა; 93. კინტო; 94. მზია; 95. გრეიპფრუტი; 96. მაჭარი; 97. კონტრაქტი; 98. კრუზი; 99. სარფი; 100. პლაჟი; 101. დიდი; 102. ცირკი; 103. ალიყური; 104. სკა; 105. მანომეტრი; 106. იორი; 107. აია; 108. ვილნიუსი; 109. ოჩამჩირე; 110. ყური; 111. ანტი; 112. კვარტა; 113. აფროდიტე; 114. ზეტა; 115. ჩარი; 116. გრემი; 117. რემა; 118. მარსი; 119. უდიპლომო; 120. არსენა; 121. ქოქოსი; 122. გალიუნი; 123. ტალი; 124. ფარელი; 125. რქა; 126. სორდი; 127. პრესტო; 128. ეტლი; 129. ბეტ; 130. დენ; 131. ტაო; 132. მჩატე; 133. მარის; 134. სენა; 135. ადმირალი; 136. ატონია; 137. მატა; 138. მიკი; 139. დიოგენი; 140. არალი; 141. „ფრიდა"; 142. ია. იკითხება: ჯონი დეპი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ელექტრონული ფოსტა — ხელის შემშლელი მუშაობაში და სტრესის გამომწვევი?



ნეტავ, სუნთქვა და თვალების ხამხამიც თუა ჯანმრთელობისთვის სახიფათო? აბა, რა ვიცით, ისე გამოდის, რომ ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართული!

ამერიკელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ერთი შეხედვით, ძალიან უწყინარი საქმიანობა საკმაოდ სერიოზულად გვაზარალებს. კერძოდ, ელექტრონული ფოსტის შემოწმება, ადამიანს ხელს უშლის კონცენტრირებაში და ხშირ შემთხვევაში, სტრესსაც კი მართებს.



კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, საუბარია არა, უბრალოდ, მცირე მღელვარებაზე, არამედ უძლიერეს სტრესზე, რაც ოფისების თანამშრომელთა გულის რიტმის გაზომვით დამტკიცდა კიდეც.

აღმოჩნდა, რომ ადამიანები, რომლებიც ახალი წერილების შესამოწმებლად საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე დღეში საშუალოდ 37-ჯერ მაინც შედიან, დიდი პრობლემების წინაშე დგებიან.

მას, ვინც კომპიუტერთან ზის, ეცოდინება, რომ ფოსტის შემოწმება დღეში 37-ჯერ კი არა, ზოგჯერ გაცილებით მეტჯერაც უწევს.

ჰოდა, სტრესი ჯიბეში გაქვთ, მეგობრებო!..

– ექსპერიმენტების დახმარებით დავადგინეთ, რომ ელექტრონული ფოსტის გარეშე, ადამიანი სტრესის მსხვერპლი გაცილებით იშვიათად ხდება. ასევე, მათ შეუძლიათ, დავალების მშვიდად შესრულება, – ასეთია ამერიკელი სპეციალისტების დასკვნა, თუმცა რა გამოსავალი არსებობს ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად, ისინი ვერაფერს ამბობენ.

*myjane.ru*

## საშინელი სტატისტიკა: ექიმები ხელებს ცუდად იბანენ



თუკი ვინმეს ეწყინება, შეუძლია, ცივი წყალი დალიოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ნამდვილად არ უნდა გაგვინაწყენდნენ მედიკოსები, რადგან ამ ინფორმაციის ავტორი ისეთი გავლენიანი უწყება გახლავთ, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

სწორედ ჯანმოს მონაცემების დახმარებით გახდა ცნობილი, რომ ყოველი მეათე პაციენტი, რომელიც სტაციონარულ მკურნალობას გადის, დამოუკიდებლად იმისა, რომელი ქვეყნის მოქალაქეა, დამატებით სხვადასხვა ინფექციას იღებს „საჩუქრად".

უფრო რომ დავაზუსტოთ, განვითარებულ სახელმწიფოებში მსგავსი ინფექციებით ავადდება ასიდან შვიდი ადამიანი, თუმცა განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და დაახლოებით 10 პროცენტს უტოლდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტებმა დაადგინეს ისიც, რომ შინაგანი ორგანოების ინფექციით ავადდება რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის ყოველი მესამე პაციენტი.

აღსანიშნავია, რომ ინფექციების გავრცელების მიზეზად ჯანმოს სპეციალისტები, პირველ რიგში, ექიმების მხრიდან ჰიგიენის ნორმების უგულებელყოფას ასახელებენ. კერძოდ, მათი თქმით, სამედიცინო პერსონალი პაციენტთან კონტაქტამდე ხელების დაბანას სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია და კატეგორიული მოთხოვნაა, მედიკოსებმა გაცილებით ხშირად გამოიყენონ სადეზინფექციო საშუალებები, რათა პაციენტების მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაამძიმონ.

*medvesti.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**15 ოქტომბერი:** ისეთი პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გგონიათ. შეიძლება არცთუ სასიამოვნო სამუშაო გელით, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია.

**კურო 22.04-21.05**

**15 ოქტომბერი:** რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ბოლო მომენტში, როდესაც გარდაუვალი გეგონებათ, უსიამოვნებების თავიდან აცილებას მოახერხებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**15 ოქტომბერი:** ეს დღე შეიძლება ის გამონაკლისი იყოს, როცა საკმაოდ აქტიური მოქმედება და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება შეგიძლიათ. ისარგებლეთ ამით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**15 ოქტომბერი:** შეიძლება რაღაც საფრთხე გელოდეთ, დროზე უნდა შეამჩნიოთ ის და მისი განეიტრალება სასწრაფოდ დაიწყოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**15 ოქტომბერი:** უკვე საკმაოზე მეტი ილაპარაკეთ, დროა, აქტიურ მოქმედებებზე გადახვიდეთ, თუკი არ გინდათ, რომ უსაქმურად და მოლაქლაქედ ჩაგთვალონ.

**ქალწული 23.08-22.09**

**15 ოქტომბერი:** შესაძლოა, სხვებზე იმაზე მეტად ხართ დამოკიდებული, ვიდრე გგონიათ. თუ ასეა, ეს უსიამოვნო ფაქტი აღიარეთ და სათანადოდ მოიქეცით.

**სასწორი 23.09-22.10**

**15 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს არაერთი უჩვეულო დამთხვევა მოხდეს. თავს ნუ დაიტანჯავთ იმაზე ფიქრით, მართლა ასეა თუ არა. ნებისმიერ შემთხვევაში სპექტაკლის მონაწილე გახდებით, მაყურებლის როლში.

**მორიელი 23.10-21.11**

**15 ოქტომბერი:** როგორც ჩანს, დღეს ემოციური განტვირთვა დაგჭირდებათ. სტრესი აუცილებლად უნდა მოიშოროთ, თანაც ისე, რომ არავის აწყენინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**15 ოქტომბერი:** დღეს ბრწყინვალედ გამოგივათ აფიორები და მსგავსი რამეები, რაც საზოგადოებაში დიდ სიმპათიას არ იწვევს. თქვენი გადასაწყვეტია, როგორ იმოქმედებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**15 ოქტომბერი:** დღეს დიდი იქნება ყველაფრის მიგდებისა და კარგად გართობის ცდუნება, მაგრამ ეს არ გამოგივათ. საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას დაგაკისრებენ.

**მერწყული 20.01-18.02**

**15 ოქტომბერი:** დღეს შეგიძლიათ, წამოიწყოთ პროექტი, რომელსაც დიდი ხანია აჭიანურებთ. ზომიერების უნიკალური უნარი გექნებათ და ყველაფერი საუკეთესოდ გამოგივათ.

**თევზები 19.02-20.03**

**15 ოქტომბერი:** ალტრუისტული ქმედებების დაუოკებელი სურვილი მოსვენებას დაგიკარგავთ. მართლაც შეგიძლიათ ვინმეს დახმარება, ამიტომ თქვენს სურვილებში ნუ შეიზღუდებით.

## არის თუ არა ეფექტური დანამატები თევზის ქონით?



მიხვდებოდით, ალბათ, რადგან ეს კითხვა დაისვა, ესე იგი, პასუხი უარყოფითი იქნება...

სამწუხაროდ, წინათგრძნობამ გაგიმართლათ და როგორც ევროპელი მეცნიერები ამბობენ, ახალი თევზი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე თევზის ქონის ბიოლოგიურად აქტიური დანამატები.

სპეციალისტების განმარტებით, თევზი უამრავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს – იოდს, სელენიუმს, დე ვიტამინსა და ასე შემდეგ. რაც შეეხება, დანამატებს, იქ მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი ელემენტებიდან მხოლოდ ერთ-ერთის პოვნა შეიძლება. მაგალითად, ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავების, ან სელენიუმის.

აქედან გამომდინარე, სპეციალისტების რჩევაა, ვისთვისაც აუცილებელია თევზში შემავალი ნივთიერებები, არავითარ შემთხვევაში არ ენდონ მხოლოდ ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს.

*dr20.ru*

## კევის ღეჭვა მეხსიერებაზე უარყოფითად მოქმედებსო



გახსოვთ, ადრე იცოდნენ ხოლმე უფროსებმა მოტყუება – ვინც მოსაღამოვებულზე კევს ღეჭავს, იმას დედა მოუკვდებაო. ჰოდა, ალბათ, რამდენჯერ შეგშინებიათ, როცა შემთხვევით აღმოგიჩენიათ, რომ „დედის სიკვდილის დროს" პირში საღეჭი რეზინი გედოთ.

სინამდვილეში, არც დედას, არც დეიდას და მით უმეტეს, არც მეზობლის ნათლულს თქვენი კევი უსიამოვნებას არ მოუტანს, თუ რა თქმა უნდა, მას ყურში არ ჩატენით. აი, სამაგიეროდ, თავად კი შეიძლება არცთუ სასიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდეთ.

ახლა, რაშია საქმე: ახალი კვლევის შედეგად, რომელიც ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, დადგინდა, რომ კევის ღეჭვა უარყოფითად მოქმედებს კონცენტრაციისა და მეხსიერების შესაძლებლობებზე.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ყველა მოხალისე კევს მუდმივად ღეჭავდა. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად თითოეულ მათგანს ძალიან უჭირდა სიტყვების, რიცხვებისა და საგნების თანმიმდევრობის დამახსოვრება. განსაკუთრებით ძლიერად უარყოფითი გავლენა ღეჭვიდან 20 წუთში ვლინდებოდა.

ამ უსიამოვნებას კვლევის ავტორები შემდეგნაირად ხსნიან: კევის ღეჭვა განმეორებადი, საკმაოდ მონოტონური მოქმედებაა, რაც თავის ტვინს ხელს უშლის კონცენტრირებაში. შესაბამისად, გონებრივი შესაძლებლობებიც ქვეითდება.

*mignwes.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



პატრულმა გაჩერებული ავტომობილის შემოწმებისას საბარგულში 10 უზარმაზარი დანა იპოვა:

– ეს რა არის, ამდენი დანა რაში გჭირდებათ?!

– კაცო, ჟონგლიორი ვარ და სამსახურში ვიყენებ.

– არ მჯერა! დამტკიცება მოგიწევთ!!!

დადგა მძღოლი და დაიწყო დანებით ჟონგლიორობა.

ამ დროს ჩავლილი მანქანის მძღოლმა ცოლს გადაულაპარაკა:

– კიდევ კარგი, დალევას თავი დავანებე, თორემ ნახე, ეს რა დებილობა ტესტი მოუგონებიათ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ზანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

9 772298 000000

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.25